საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვეტი სიტყვაა, ტყეიღებით და ჭირებით ბეტონის გაცანა ყვეღა უკარისობაზე უსამაგღესია.

ხუთშაბათი, 14 სექტემბერი. 2017 წ. №187 (8324), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ამომრჩეველი უნიათობას, პირუმტკიცობას არ აპატიებს!

ხალხთან იმუშავეთ, ბიძიკოებო, ხალხთან!

③

საკაშვილის საქმეს ხულიგნობის მუხლი დაემატა

მიხეილ სააკაშვილის მიერ **საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე აღძრულ საქმეს ხულიგნობის მუხლი დაემატა.** ინფორმაციას ამის შესახებ ლვოვის პოლიცია ავრცელებს. წინასასამართლო საქმის გამოსაძიებლად ლვოვის პოლიციაში შექმნილია გაერთიანებული საგამოძიებო ჯგუფი და ამჟამად პილიციელები იმ ადამიანებს ჰკითხავენ, შეგინის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, 10 სექტემბრის მოვლენებში მონაწილეობდნენ. პოლიციაში აცხადებენ, რომ ამ ინციდენტში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების მცხოვრებლები იღებდნენ მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის მიერ საზღვრის გადალახვასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი 18 სექტემბერს არის ჩანიშნული.

ყველა, ვინც ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობდა, პრემიას მიიღებს

ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ყველა ადამიანი, რომელიც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობდა, პრემიას მიიღებს.

— ეს დამოკიდებულია კონკრეტულ უწყებაზე — რომელიღაც უწყებამ უკვე გამოწერა უწყისი, რომელიღაც დღეს გამოწერს და რომელიღაც — ხვალ. ეს არის ძალიან ჩვეულებრივი პროცესი. უწყებების მიხედვით, ჯამურად ვფიქრობ, რომ გავალთ 3 მილიონზე ან შესაძლოა, ცოტა მეტზე გავიდეთ, მაგრამ ეს იქნება დამოკიდებული უწყებებზე. ჩვენ შევთანხმდით, რომ ყველა ადამიანი, ვინც მონაწილეობდა ცეცხლის ჩაქრობის პროცესში, პრემიას მიიღებს. ყველა უწყებამ მოახდინა აღრიცხვა იმ ადამიანებისა, ვინც იქ იყო, შესაბამისად, გაიცემა პრემიები და ეს ადამიანურად აუცილებლად დაუფასდებათ. თუმცა, ასევე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ადამიანურად იმის აღიარება, რაც ყველამ ერთად ვნახეთ, რომ მეხანძრე-მაშველი არის გმირი, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ძალაუფლებით გარყვნილი...

④

ევრაზიული ცარცის წრე

სულ სხვაგვარი ქარბორბალა ტრიალებს თბილისში...

⑥

რატომ გვიძნელდება სიმართლის აღიარება?!

⑤

მარო თარხნიშვილი — ქალი სიმღერა...

⑦

ვინიერთა მოსწრებული სიტყვა

ერთ წვეულებაზე მავანმა უცხო კაცმა **ბერნარდ შოუს** მიმართა:

— თქვენა ხართ ის ცნობილი იუმორისტი? მართალია, რომ მამათქვენი თერძი იყო.

— მართალიაო, — უთხრა შოუმ.

— მაშ, თქვენც რატომ თერძი არ გახდით.

— ძნელი სათქმელია, ან მოწოდებაა, ან სულაც იქნებ კაპრიზია. აი, მაგალითად, როგორც ვიცი, მამათქვენი ჯენტლმენი იყო.

— კი, მართალს ბრძანებთ.

— მერედა, თქვენც რატომ არ გახდით ჯენტლმენი?

* * *

უინსტონ ჩერჩილმა ფეხი მოიტეხა. ექიმმა ხნიერ პრემიერს დასამშვიდებლად უთხრა:

— ნუ ღელავთ, ასაღელვებელი აქ არაფერია.

— გასაგებია, — მიუგო ჩერჩილმა, — თქვენ რომ მოგეტეხათ ფეხი, მეც არ ავღელდებოდი.

* * *

ერთხელ **ჩარლი ჩაპლინს** ჰკითხეს:

— სიკვდილის შემდეგ სად ისურვებდით მოხვედრას — ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში?

— მაგ კითხვაზე უცებ პასუხის გაცემა ძნელია, — მიუგო დიდმა მსახიობმა. — კლიმატის თვალსაზრისით, რასაკვირველია, სამოთხეს ვამჯობინებ, მაგრამ თუ კარგი საზოგადოების თვალსაზრისით მივუდგებით, ჯოჯოხეთს ავირჩევდი.

* * *

ლუი არმსტრონგი გასტროლებზე იყო კოპენჰაგენში. კონცერტის შემდეგ ნობელის პრემიის ლაურეატი ნილს ბორი გააცნეს. არმსტრონგმა ბორს უჩვენა, როგორ უნდა საყვირზე დაკვრა. ბორმა თავის მხრივ არმსტრონგს გააცნო ატომური ბირთვის გახლეჩის ზოგიერთი მეთოდი.

— მართლა ძალიან კარგი საუბარი გვქონდა, — უთხრა მოგვიანებით არმსტრონგმა ჟურნალისტებს. — ის ახლა ისევე ერკვევა ჯაზში, როგორც მე ფიზიკაში.

სტალინის გამოსახულება გორის სასტუმროში

ქალაქ გორში სტალინის ნახატი 3D ფორმატში დაამზადეს და სასტუმროს შესასვლელთან გამოფინეს. ინფორმაციას ამის შესახებ qartli.ge ავრცელებს.

„თუ ვინმეს არ მოეწონება, გადაეცით ჩემგან „მოკითხვა“ — განუცხადა qartli.ge-ს სასტუმროს ერთ-ერთმა მეწილემ ზურაბ წკრიალაშვილმა.

შეერთებული შტატები რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციისკენ მოუწოდებს

შეერთებული შტატები შეშფოთებულია ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გამშვები პუნქტების დახურვით და რუსეთს მოუწოდებს, ამ რეგიონებიდან თავისი სამხედროები გაიყვანოს. ამის შესახებ ამერიკა-საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.ჯგუფის შეხვედრა ვაშინგტონში გაიმართა.

შეერთებულმა შტატებმა აღშფოთება გამოთქვა ე.წ. სადემარკაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და გამშვები პუნქტების დახურვის გამო. შეხვედრის მონაწილეებმა რუსეთს კვლავ მოუწოდეს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან თავისი შეიარაღებული ძალები გაიყვანოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

ამერიკა 9 ქართულ ბატალიონს გაწრთვნის

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას, სადაც საუბარია ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების აქტუალიზაციასა და იმ სამხედრო მხარდამჭერაზე, რომლის მიხედვითაც თავდაცვის უნარიანობის ასამაღლებლად აშშ 9 ქართული ბატალიონის გაწრთვნას ეხება, თავდაცვის მინისტრი ეხმაურება.

— გაკეთდა აშკარად მხარდამჭერი განცხადება,რომ საქართველოს გვერდით არის მთავარი სტრატეგიული მოკავშირე სწორედ ცეცხლის შეწყვეტის იმპლანტაციასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს პირველ რიგში მოსკოვის იძულებას შეასრულოს თავის ვალდებულებები“ — განაცხადა ლევან იზორიამ.

რუსული წვრთნები ოკუპირებულ აფხაზეთში

ოკუპირებულ აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის საოკუპაციო ჯარის 49-ე არმიის სამხედრო მოსამსახურეები გუშინ დილით განგაშით საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. 49-ე არმია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამხრეთის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია.

განგაში სასწავლო იყო და ნაგვალოუს და ცაბალას პოლიგონებზე სამხედროებმა სამხედრო ტექნიკის შენიღბვის და საველე პირობებში დაზვერვითი სამუშაოები და სტრატეგიული ობიექტების დაცვა განახორციელეს. საოკუპაციო ძალებმა ასევე ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის, ტყვიამფრქვევის და ავტომატის სროლაში ივარჯიშეს.

<u>იანს ბჟეზინსკი:</u> მხარს დავუჭერთ რუსეთისადმი სანქციების დაწესებას

თბილისში საერთაშორისო პრესკონფერენციაზე საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობენ.

ფორუმზე ისაუბრეს ტრამპის საგარეო პოლიტიკასა და ამ პოლიტიკაში საქართველოს ადგილზე.

ფორუმის მონაწილეები რუსულ ოკუპაციასა და ამ მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებზე მსჯელობენ.

„მხარს დავუჭერდი რუსეთის მხრიდან მიმდინარე ბორდერიზაციის გამო სანქციების დაწესებას“ — განაცხადა ფორუმის მონაწილემ იანს ბზეჟინსკიმ,აშშს ანალიტიკური საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიტიკოსმა.

საქართველო კარგი მაგალითია იმისა თუ როგორ შეიძლება ტურიზმის გზით პატარა ქვეყნის გარდაქმა

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

ჩინეთის ქ. ჩენგდუში UNWTO-ს 22 სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ვიცე-პრემიერი მიესალმა მიმდინარე წლის — „ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად“ გამოცხადებას, რაც მისი მოსაზრებით ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ტურიზმის სექტორის მდგრად განვითარებას, რაც თავისმხრივ განაპირობებს ეკონომიკურ კეთილდრეობას, ხალხთა შორის კონტაქტებს და კულტურათა თანაარსებობას. მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, მსოფლიოში ტურიზმის მზარდი როლის გათვალისწინებით, თანდათან ქვეყნები ამარტივებენ მგზავრობის პროცედურებს, ავითარებენ უწყეტ კომუნიკაციას და სხვადასხვა სერვისებს.

საკუთარ გამოსვლაში მინისტრმა ასევე ისაუბრა საქართველოში ტურიზმის სექტორის განვიტარების წარმატებულ ტენდენციაზე, რომლის შედეგადაც 2016 წელს, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა პირველად ასცდა ექვს მილიონიან ნიშნულს.

„მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ტურიზმის სექტორი დღეს საქართველოს ეკონომიკური ზრდის, კეთილდღეობის, დასაქმების, ინფრასტრუქტურული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორია. ამ სექტორის მეშვეობით, საქართველომ უამრავ წარმატებას მიაღწია და იქცა მაგალითად იმისა, თუ როგორ შეიძლება ტურიზმის განვითარების გზით პატარა ქვეყნის გარდაქმნა, — განაცხადა მინისტრმა.

რატომ არის მიშას ექსტრადაცია ნაკლებ სავარაუდო

საქართველო ქვეყნის მესამე პრეზიდენტის, ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის მოლოდინშია. აღნიშნულის შესახებ განცხადება ექსტრადიციის პროცესზე პასუხისმგებელი უწყების ხელმძღვანელმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დღეს კიდევ ერთხელ გააკეთა.

წულუკიანის თქმით, ქართულმა მხარემ უკრაინულს ექსტრადიციის მოთხოვნა პირველ სექტემბერს გადაუგზავნა, გაგზავნილია ყველა შესაბამისი საბუთი და ახლა ჯერი უკრაინულ მხარეზეა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, შეუქმნის თუ არა საერთაშორისო არენაზე პოლიტიკურ უხერხულობას საქართველოს მესამე პრეზიდენტის დაკავება. საპასუხოდ მინისტრმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი „აღარავის აინტერესებს, მათ შორის — არც მის ახლანდელ თანაგუნდელებს“.

„ერთადერთი, ვისთვისაც სააკაშვილი საინტერესოა, ეს საქართველოს მთავარი პროკურატურაა, ვინაიდან მას პასუხი აქვს გასაცემი იმ ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ამ დროისთვის მის წინააღმდეგ მიმდინარეობს“,— ირწმუნება წულუკიანი.

იმის გარკვევას, თუ რამდენად რეალურია მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადაცია, „აქცენტი“ იურისტებთან შეეცადა.

თბილისის ყოფილი პროკურორი მაია მწარიაშვილი შექმნილ ვითარებაში ექსტრადირებაზე უარის თქმის საფუძვლებზე ამახვილებს ყურადღებას:

— ამ შემთხვევაში პროცესები უცნაურად წარიმართა. პროცედურა ასეთია: გამოჩნდება თუ არა შენს მიერ ძებნილი პირი ამა თუ იმ ქვეყანაში, აგზავნი მისი დაკავების შესახებ მოთხოვნას, ხოლო შემდეგ უკვე — მოთხოვნას გადმოცემაზე. ჩვენ არ ვიცით, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე უკრაინაში პროცესი მიმდინარეობს თუ არა, — ამ ეტაპზე ვხედავთ, რომ არა. წესით, უნდა დაეკავებინათ, შემდეგ განეხილათ საექსტრადაციო პატიმრობის შეფარდების საკითხი და უკვე შემდეგი ეტაპია გადმოცემაზე მსჯელობა. ასე არ მოხდა. მოვლენებიდან გამომდინარე, ეს რთულიც იქნებოდა. დაგროვდა პრობლემები და მსგავს სიტუაციაში სამართალი უკვე რთულად მუშაობს, ერთვება პოლიტიკა. ამიტომ დანარჩენზე თეორიულად ვისაუბრებ: ამ დროისთვის მიხეილ სააკაშვილს მოქალაქეობა არ აქვს, მაგრამ ეს ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მას დანაშაული ჩვენს ტერიტორიაზე აქვს ჩადენილი, ამიტომ ექსტრადირება შეგვიძლია, მოვითხოვოთ ნებისმიერი ქვეყნისგან და არა მხოლოდ უკრაინისგან. აქამდე უკრაინისთვის მიხეილ სააკაშვილის უკრაინის მოქალაქეობა იყო პრობლემა და ეს ექსტრადაციაზე უარის თქმის საფუძველი ნამდვილად არის. ახლა ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია, თუმცა სააკაშვილი უკრაინაში მუდმივად მცხოვრების სტატუსს ითხოვს, რაც ექსტრადაციის შემთხვევაში მოქალაქეობის გარანტიებს უთანაბრდება. მაგალითად, ჩვენ უცხო ქვეყანას არ გადავცემთ როგორც საკუთარ მოქალაქეს, ისე მუდმივი ცხოვრების სტატუსის მქონე პირს და არც ამ სტატუსის მაძიებელს (გადაწყვეტილების მიღებამდე საექსტრადიციო პროცედურები ჩერდება ხოლმე). შესაბამისად, სტატუსი ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველია. მე უკრაინის კანონმდებლობას არ ვიცნობ, მაგრამ ეს წესი მოქმედებს ჩვენთან, სხვა ქვეყნებშიც და ვვარაუდობ, რომ უკრაინაშიც ასევე იქნება.

გარდა ამისა, ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ ექსტრადიციაზე უარის თქმის კიდევ ერთი საფუძველი შეიძლება გაჩნდეს. კერძოდ, უკრაინაში საუბრობენ საზღვრის უკანონოდ კვეთაზე და დაიწყეს გამოძიებაც. თუ უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო, მაშინ ესეც იქნება ექსტრადაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ეს ყველაფერი — თეორიულად, ხოლო რეალურად რა მოხდება, არ ვიცით“.

პოლიტიკოსი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** კი რუსი პრანკერებისა და საქართველოს შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის სავარაუდო დიალოგს იხსენებს რეtp://accent.com.ge/ge/news/details/379: და დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილის ექსტრადაციით დაინტერესებული არაა:

„არსებობს მინსკის 1993 წლის ჩარჩოკონვენცია, რომლის ფარგლებშიც საქართველო და უკრაინა თანხმდებიან ურთიერთსამართლებრივი დახმარების საკითხზე. ეს არ იქნა გამოყენებული საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომელსაც შეეძლო, მოეთხოვა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადაცია თუნდაც იმ ბრალის ნაწილში, რომელიც უკვე დასაბუთებული და წარდგენილია. ფაქტია და ყველა მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ ხელისუფლება თავს არიდებს მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებას, ბატონი მღებრიშვილის განცხადებები კი უნათლესი მტკიცებულებაა იმისა, რომ ეს ჩვენი ხელისუფლების ზოგადი პოლიტიკური პოზიციაა“, — ამბობს ლორთქიფაიძე.

გუშინ სააკაშვილს სასაზღვრო წესების დარღვევისთვის უკრაინის საასაზღვრო სამსახურიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი ჩაიბარა. აღნიშნული სამართალდარღვევა ჯარიმას ან რამდენიმედღიან პატიმრობას ითვალისწინებს. სააკაშვილი უკრაინულ ვიოაჟს განაგრძობს და ლვოვის შემდეგ უკრაინის სხვა ქალაქების მოვლისათვის ემზადება.

„აქცენტი“

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..

გაგრძელება თემისა, ევროპარლამენტის დეპუტატის სარიუშ ვოლსკის წამონაროშს რომ ეხება...

ეს უნდა თქვას ოფიციოზმა, რამეთუ მე, კერძო პირს, ჟურნალისტს, არასპეციალისტს, შესაძლოა, არ დამიჯერონ, ხოლო იმას, ვინც ქართული სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე მოქალაქეობის გაუქმების ბრძანებულებას ხელი მოაწერა, აქვს ვალდებულება, ახსნას ამ გადაწყვეტილების საფუძველი და მოტივაცია. ამისთვის არსებობს სახელმწიფო მოხელეთა აპარატი.

მესამე დღეა, მსოფლიო მედია დუღს და გადადუღს მიხეილ სააკაშვილის ავანტიურასთან დაკავშირებით. მხოლოდ ზარმაცი კაცი არ გამოთქვამს საკუთარ „ბრძნულ“ მოსაზრებებს ჩვენი რევოლუციური ეპოქისთვისაც კი ამ უნიკალურ შემთხვევასთან დაკავშირებით.

აი, ევროპარლამენტის დეპუტატი სარიუშ ვოლსკი კი გვერდიდან არ სცილდება ჩვენს ექსპრეზიდენტს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ის, როგორც მაფიოზური „მაყურებელი“ მიჩენილია და აკონტროლებს მიხეილ სააკაშვილს, რათა მან მისთვის შემუშავებულ-შეთავაზებულ-დაზეპირებული „ინსტრუქციიდან“ განსხვავებული არცერთი ნაბიჯი არ გადადგას – არც მარცხნივ და არც მარჯვნივ. ეს ვოლსკი არ ერიდება არც მიკროფონს და არც ეკრანს – უხვად იძლევა ინტერვიუებს, ბაქიბუქობს და ემუქრება სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს, იმასაც მიანიშნებს, რომ პოლონეთი არ მიატოვებს „ერთგულ მეგობარს“ და აი, თქვენ ნახავთ, რა კორიანტელს დავაყენებთ ევროპარლამენტის სხდომაზეო.

ვოლსკის თავში ქვა უხლია, რაც უნდა ის თქვას და ვისაც უნდა, იმას დაემუქროს, მაგრამ როცა მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, საქართველოში მ.სააკაშვილს უკანონოდ ჩამოერთვა მოქალაქეობაო, ნურას უკაცრავად, ადეკვატური პასუხია გასაცემი!

სწორედ ამას მოვუწოდებდით ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საგარეო და იუსტიციის სამინისტროებს. მაგრამ, რა – შეაყარე კედელს ცერცვი, დუმული: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“

სამწუხაროა!

გაუგებარიც!

არადა, რა უნდა იმის თქმას (ოღონდ, საჯაროდ, ყველას, მათ შორის, უცხოეთის მედიის გასაგონად), რომ „მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონი (2014 წლის აპრილი) პირველივე მუხლით ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

ა) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის ან უშიშროების სამსახურში;

ბ) საქართველოს მოქალაქეობას ყალბი დოკუმენტების წარდგენით მოიპოვებს;

გ) სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებს.

აი, ეს, ბოლო „გ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა გამონაკლისის წესით მიენიჭა.

საინტერესო და აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ორმაგი მოქალაქეობის 1995 წლის კონსტიტუციით აკრძალვა დადასტურდა 2004 წელსაც, პრეზიდენტ მ. სააკაშვილის(!) მიერ ინიცირებული(!) და განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლებებითაც. იმ დამატებით, რომ მაშინ ქვეყნის პირველმა პირმა, ანუ მ.სააკაშვილმა მოიპოვა გამონაკლისის წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მონოპოლიური უფლება.

ეს არის და ეს.

დაახლოებით, ეს უნდა თქვას ოფიციოზმა, რამეთუ მე, კერძო პირს, ჟურნალისტს, არასპეციალისტს, შესაძლოა, არ დამიჯერონ, ხოლო იმას, ვინც ქართული სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე მოქალაქეობის გაუქმების ბრძანებულებას ხელი მოაწერა, აქვს ვალდებულება, ახსნას ამ გადაწყვეტილების საფუძველი და მოტივაცია. ამისთვის არსებობს სახელმწიფო მოხელეთა აპარატი.

ამის შესახებ ვწერდით, ამას ვითხოვდით და მისი მოლოდინი გვქონდა წინა წერილში. საკითხს ისევ ვუბრუნდებით იმიტომ, რომ ის, რაც ზემოთ ვთქვით, არის ორჯერ ორი ოთხი. ასევე, ორჯერ ორი ოთხია ის, რომ მოსახლეობის დროული ინფორმირება გადამწყვეტია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში და როცა ეს „აზრი“ უარყოფითად ყალიბდება, თუნდაც მოსახლეობის მცირე ოდენობის წარმოდგენაში, მით უმეტეს კარზე მომდგარი არჩევნების წინ, როცა ყალყზე შემდგარი და სამიტინგოდ-სალაქლაქოდ გამზადებული ოპოზიცია „უნიათობას“ გაბრალებს, თანაც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მართალი ხარ და არ იმსახურებ ასეთ „იარლიყს“, უნდა ეძებო მიზეზი(!) ამ „საჩუქრით“ რატომ „გაჯილდოვებენ“, შეუსვენებლად რისთვის გილაწუნებენ ყბაში.

არაერთგზის გაგვიხსენებია ბანალური მაქსიმა: პოლიტიკაში დარწმუნება უფრო ადვილია, ვიდრე... გადარწმუნება!

ასევე, ის, რომ პოლიტიკაში გასამარჯვებლად პრევენცია ან დროული რეაგირება რომ გადამწყვეტია, ცნობილია ყველა დამწყები „პიარშიკისთვის“, მით უმეტეს, „პიარის ვირტუოზის“ – სააკაშვილის გუნდისთვის, მაგრამ ეს ანბანური ჭეშმარიტება ვერ გაითავისა მხოლოდ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, პრაქტიკულად მისმა ყველა შტომ და ამ ხელისუფლების მშობელმა „ქართულმა ოცნებამ“.

არადა, რომ ჰკითხო მათ, „დღევანდელების“ აბსოლუტურ უმრავლეობას ლამის ჰარვარდი, კემბრიჯი, იტონი, სტენფორდი და ... კომაროვის სკოლა აქვს დამთავრებული.

„ისინი“, მათი წინამორბედები, „რაღაცას“ აკეთებდნენ და ისე ხმაურობდნენ, ისე ტრაბახობდნენ, ისე წარმოაჩენდნენ სულ მცირესაც კი, რომ სულ ეჭვი მეპარებოდა, ხომ არ დავბრმავდი და დავყრუვდი, რომ ვერ ვამჩნევ-მეთქი... „ესენი“, ანუ „დღევანდელები“ მართლა აკეთებენ ბევრს და... ისე უსუსურად წარმოაჩენენ, რომ კაცს მართლა „უნიათოები“ ეგონება.

საზღვარგარეთ ხომ სულ „სუფთად“ იგებენ ძველები. ლაპარაკით, უტიფრობით და... ოპერატულობით, წინსწრებით. სანამ „ოცნება“ გაიღვიძებს, კოლექტიურ, გასილაქებულ „კანდელაკებს“ ინტერნეტი აკლებული აქვთ. ერთმა მეგობარმა – უცხოელმა ცნობილმა ჩინოსანმა შემომჩივლა: ელ.ფოსტის გახსნა მეშინია, იმდენი გზავნილი მხვდება „კანდელაკისგანო“... ტყუილი, მართალი, ჭორი... სულ ერთია მათთვის, მთავარია დაბომბონ უცხოეთის სტრუქტურები, განსაკუთრებით კი ევროპული და ამერიკული...

აი, ეს ბოლო, კონკრეტული შემთხვევაც, პროვოკატორ ვოლსკის წამონაროში, რომ სააკაშვილს უკანონოდ ჩამოერთვა საქართველოს მოქალაქეობა, უკვე ტირაჟირებულია მსოფლიოს წამყვანი სააგენტოების, ტელეარხების, ბეჭდვითი მედიის მიერ. საკაკაშვილი ეკრანიდან არ ჩამოდის, უამრავი კომენტარია მისთვის უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ვაი-ვოლსკიმ დააანონსა ამ საკითხის ევროპარლამენტში განხილვა, ანუ ყველა შეწუხებულია, ყველა ლაპარაკობს, ყველა ეკრანზეა, ყველა პირდაპირ ეთერშია, ინტერნეტი დუღს და გადადუღს... დუმილის „უფლებას“ ინარჩუნებენ მხოლოდ ის სტრუქტურები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პრობლემა. ეხებათ იმიტომ, რომ, აკი ზემოთ ვთქვით, იურიდიულად და საბოლოოდ სწორედ ამ „სტრუქტურების“ გადაწყვეტილებით გაუუქმდა ექსპრეზიდენტს მოქალაქეობა.

„პირველი ვიოლინო“ ამ სტრუქტურებში გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის მუდმივად ყალყზე შემდგარი ადმინისტრაცია! ეს ის ადმინისტრაციაა, რომელიც როცა ის თვლის „საჭიროდ“, საპასუხო სიტყვისთვის ჯიბეში ხელს არ იყოფს, კომენტარს არ აგვიანებს ჩვენი პარლამენტარების თუ მთავრობის წევრების ნებისმიერ გამონათქვამზე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, მეტ-ნაკლები სამართლიანობით თუ ეხება მათ.

ტრადიციულად დუმს საგარეო საქმეთა სამინისტრო! გაუგებარი კია, მერამდენედ, რას და ვის ელოდება ჩვენი „ნარცისული“ დიპლომატიური სამსახური, რომლის თავკაცი მარტო მინისტრის სტატუსს კი არ ატარებს, არამედ ვიცე-პრემიერისას, ანუ მისი უფლებამოსილება და ავტორიტეტი აბსოლუტურად საკმარისია მსგავს შემთხვევებში ისაუბროს ხელისუფლების სახელით....

სამწუხაროდ (გამონაკლისის გარდა), დუმს იუსტიციის სამინისტროც, ეს გასაკვირია, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ მათ არაფერი აქვთ ასაღელვებელი, რამეთუ იურიდიულად სრულიად გამართულია ექსპრეზიდენტისთვის მოქალაქეობის მიღება-გაუქმების პროცესი და ამ საკითხთან დაკავშირებული მათ მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას თითქოს წყალი არ გაუვა. არადა, სწორედ მისი პოზიცია – შეფასება უნდა იყოს კომპეტენტურობის ამოსავალი წერტილი, მაგრამ ევროსასამართლოს კანდიდატურების შერჩევასთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა ფონმა, საზოგადოების უკმაყოფილებამ, ეტყობა, მეტისმეტად დააფრთხო აქამდე „შეუპოვრობითა“ და პირდაპირობით ცნობილი ქალბატონი მინისტრი და მისი უწყება.

და აი აქ, ისევ და ისევ წამოიჭრება მოსახლეობის დროულად ინფორმირების პრობლემა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოში არსებობს ერთი ოჯახი მაინც, სადაც არ განიხილავენ სააკაშვილ-პოროშენკოს დაპირისპირების თემას, ძალიან ცდება. განიხილავენ და, თანაც, როგორ! ჭორი და მართალი ერთმანეთშია არეული. ამ „ყოვლისმცოდნე“ ექსპერტებმა და მოლელაკაკულიო ტიპაჟმა ხომ სულ გარეკეს თავიანთი „წინასწარმეტყველებით“.

ნამეტნავად მიამიტი და ბეცი უნდა იყო, გეგონოს რომ ამ მოვლენას არ აქვს კავშირი და გავლენა ჩვენი ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ატმოსფეროზე, რომ ჩვენი მოსახლეობა მხოლოდ „ერთობა“ იმ სატელევიზიო კადრებით, რომლებიც ასახავენ ექსპრეზიდენტის „შეჭრას“ უკრაინის ტერიტორიაზე, მის ზღვარგადასულ ამბიციებს და მუქარას უკრაინის უმაღლეს ხელისუფალთა მიმართ, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ტრადიციული დაშანტაჟების მცდელობას, ჩვენთვის კარგად ნაცნობ დემაგოგიურ და პოპულისტურ განცხადებებს, „ქართული სახელმწიფოს შემქმნელის“ უტიფარი პოზიციებიდან ღიმილის მომგვრელ განცხადებებს და არც ისე უწყინარ „მინიშნებებს“, რითაც მშვენივრად სარგებლობს მავანი და მავანი.

პოლიტიკაში დასაფასებელია სიდინჯე, ცივი გონება, სიმშვიდე, აუღელვებელი მოქმედება... არავის მოვუწოდებთ ემოციური, აჩქარებული გადაწყვეტილებების მიღებას, პირიქით, ბათუმის მოვლენებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენ ზოგჯერ მართლაც რომ გონიერი ლიდერები გვყავს, რომლებიც მოქმედებენ ყოველგვარი პანიკის, ისტერიკის გარეშე... მაგრამ, რატომღაც გვეჩვენება, რომ ეს ხდება ზოგჯერ, ანუ, იშვიათად. გარედან ისე ჩანს, რომ ზოგიერთ სახელისუფლო სტრუქტურას უფრო მეტად ხელეწიფება (ან აწყობს) ზოზინი, გაუბედავობა, ნაკლებინფორმირებულობა, საზოგადოებრივი განწყობისა და გამოწვევებისადმი ზერელე დამოკიდებულება... და ისევ მივდივართ მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემამდე, მისი დროული და მაქსიმალური ინფორმირების, ამ ინფორმაციის სანდოობის დეფიციტამდე.

კარგად გვესმის, რომ ახლა, მორიგი სასწავლო წლის დაწყებისას უფრო აქტუალური „ვაშლების“ თემაა, მაგრამ იმ ჩინოსანმა, რომელიც მინისტრობასთან ერთად ითავსებს ვიცე-პრემიერობას, რომელიც მთავრობის მეთაურმა ქვეყანას წარუდგინა, როგორც დიდად გამოცდილი, ბრძენი მენეჯერი და საზოგადოებასთან ხელისუფლების ურთიერთობის კოორდინატორი და წარმმართველი, დროა, მოიცალოს ამ პრობლემებისთვის! რა თქმა უნდა, თუ იგი ისევ არის ამ ფუნქციის მატარებელი. თუ არადა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ წარმართავს ამ საქმეს, ვის აკისრია პასუხისმგებლობა?..

ეჰ, მართლა დროულია ერთ ფილმში იპოლიტე ხვიაჩიას გმირის შეძახილი: დაცვას მიხედე, ხვედელიძე, დაცვას! დავამატებდი: ხალხთან იმუშავეთ, ბიძიკოებო, ხალხთან, თორემ შესაძლოა, ვაშლიც ოხრად დაგვრჩეს და წიწაკაც სანატრელი!



ნუგზარ ფოფხაძე

ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲪᲐᲠᲪᲘᲡ ᲬᲠᲔ

ᲕᲘᲪᲘ, რომ პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენება ამბიციურობის ნიშანია.

ამჯერად, მაინც ასე უნდა დავიწყო:

მე, ვინც მთელი არსებით ვეწინააღმდეგები ბილწსიტყვაობას (მათ შორის სოციალურ ქსელში!), პრინციპული პოზიციის მიუხედავად, პრინციპულივე მოსაზრებით დავიმოწმებ ფრაზას მართლაც ლეგენდარული „კავკასიური ცარცის წრიდან“: „ისევ ჩაიფსი, მიხეილ?!“

ეს ფრაზა სხვებს არაერთხელ გახსენებიათ მიხეილ სააკაშვილის ამა თუ იმ უგვანი ქმედების გამო.

ვაი რომ, ამგვარი ქმედებანი მისთვის ჩვეულებრივი ამბავია.

* * *

„ბილწსიტყვაობა ნარკომანიაზე არანაკლებ საშიშია“ - წერდა ანა კალანდაძე.

სხვათა შორის, პოეზიის დედოფალი თავდაპირველად, იმედით შესცქეროდა მიხეილ სააკაშვილს.

ედიშერ გიორგაძე, ტრაგიკულად წესიერი პიროვნება, გაზეთიდან, რომელსაც თავად გამოსცემდა, გულწრფელად მიესალმა შევარდნაძის ჩამოგდებასა და სააკაშვილის გაპრეზიდენტებას: პირველ გვერდზე დაბეჭდა ანასა და ჩემი მილოცვები, სადაც იმედს გამოვთქვამდით, რომ ახალგაზრდა ლიდერი საქართველოს უკეთესი გზით წაიყვანდა.

მე რა სახსენებელი ვარ, თვით დიდი პოეტი დარჩა გაწბილებული...

* * *

ბილწსიტყვაობა ნარკომანიაზე არანაკლებ საშიშიაო.

სწორედ ბილწსიტყვაობა გაიფურჩქნა მისი პრეზიდენტობის ხანაში.

და თითქმის ყოველდღე ვიგებდით ახალ-ახალ ამბებს, თუ როგორ ბილწსიტყვაობდნენ მაღალჩინოსნები მანდილოსნების(?) თანდასწრებითაც; როგორ თანდათან მოირყა ზნეობრივი საყრდენები და წამოიმართა სახელისუფლებო სოდომ-გომორი, რითაც კიდევ ერთხელ გამართლდა თომას ჯეფერსონის სიტყვები: „ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის.“

სწორედ აბსოლუტურმა ძალაუფლებამ გარყვნა და დაღუპა:

სპასალონები.

უცხოელი მასაჟისტები.

ბოტოქსები.

მუცლის ქონის ამოსაჭრელი ოპერაციები.

ორგიები...

და რაღა დარჩა დიქტატორობამდე?

კალიგულასა და ნერონს ტელევიზიები არ ჰქონდათ, თორემ იმათაც დაარბევდნენ.

ამან დაარბია: ჯერ — „იბერია“, შემდეგ — „იმედი“...

„სამშობლოდან“ გამოყარა ჟურნალგაზეთების რედაქციები.

არადა, რა იმედით შევცქეროდით?!

თვით ანაც კი.

სხვათა შორის, განერონებამდე, ამანაც იცოდა ანას ფასი: იუსტიციის მინისტრობის ჟამს სთხოვა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაჰყოლოდა, პატიმრებთან წიგნების მისატანად.

დიდსულოვნად გაჰყვა.

ციხეში წიგნები მიჰქონდა, უარს როგორ ეტყოდა.

პირიქით, სიხარულით დასთანხმდა.

მეტიც: ეს რომ ახსოვდა, იმიტომაც ეიმედებოდა მისი გაპრეზიდენტება...

* * *

ᲐᲜᲐ 2007-ში გარდაიცვალა.

არც 7 ნოემბერს მოსწრებია და არც 26 მაისს.

წარმომიდგენია, რა მწარე იქნებოდა მისთვის ღამით დარბეული, დასისხლიანებული თანამოქალაქეების, დილით კი ნაჩქარევად გადარეცხილ რუსთაველზე გამართული ზეიმის ხილვა.

კიდევ უფრო მძიმე სანახავი იქნებოდა, თუ როგორ იბნევდა მკერდზე მისი კოლეგა „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენს“(?!)...

სხვათა შორის, ესეც უნდა ვიკითხოთ: ვინ უფრო საშიშია — ზნედაცემული ხელისუფალი თუ ჯილდოებს დახარბებული პოეტი?

ესეც: რა უფრო საშიშია — პრეზიდენტის თუ პოეტის ბილწსიტყვაობა?

* * *

ᲐᲗᲘ წელს „იწვიმა და იქუხა საქართველოს თავზე.“

წავიდა ნაციონალური(?!) მოძრაობა;

მოვიდა „ქართული ოცნება“.

ეს მართლა მოვიდა, მაგრამ ის წავიდა?!

დღესაც კი, თბილისში დიღმიდან შემოსულს, ვეფხისა და მოყმის ძეგლს რომ გამოსცდები, წინასაარჩევნო ბანერებიდან ჯერ ბაქრაძე-უგულავას ტანდემი შემოგღიმებს და მხოლოდ ამის შემდეგ — კახა კალაძე.

ეს ის შემთხვევაა, რომელზეც ჯანსულ ჩარკვიანის მოსწრებული ხუმრობა ვერ გავრცელდება — ახირებულ ქალბატონს რომ უთხრა, საიდან მოდიოდით, რუსთაველზე ჯერ აკაკი რომ შეგეგებათ და მერე ილიაო.

უბედურება ისაა, რომ ნაცებს წინ არც ილია არასოდეს შეგებებიათ და არც აკაკი.

* * *

ᲛᲘᲨᲐ კი ისევ უკრაინაშია.

იქაც ქართულ მედიას ებრძვის.

შენ ისე ხარ თავისუფალი, როგორც მე კიტრიო, — უთხრა „იმედის“ კორესპონდენტს.

ტელეკომპანია „იმედს“ მხოლოდ ერთი გზა დაუტოვა — როგორმე უნდა დაამტკიცოს, რომ მიშა... კიტრია.

ცნობილი ჟურნალისტის გელა ზედელაშვილის აზრით, კი კიტრები მიშას მხარდამჭერები არიან.

* * *

უკრაინა და სააკაშვილი!

ეს თემა დღეს უამრავ ვარაუდს წარმოშობს.

ვარაუდები კრემლიდან თეთრ სახლამდეა განფენილი.

მიშას რომ ათამაშებენ, ეს თითქმის არავის აეჭვებს.

თვით დავით უსუფაშვილმაც კი მას „ევრაზიული მასშტაბის პოლიტიკური ავანტიურისტი“ უწოდა.

მაგრამ დააკმაყოფილებს კი სააკაშვილს ეს მასშტაბი?

ამერიკაც ხომ მისი ასპარეზია?!

სწორედ ამ უკიდეგანო სივრცეში ათამაშებენ ონავარი ბავშვივით და ბევრი შიშობს, ჩვენსავით მრავალტანჯულ პოლონეთსაც თავსატეხი არ მიუმატოს.

არადა, რა ბედნიერება იქნებოდა, სამშობლოს სივრცე რომ პატარად არ მოსჩვენებოდა.

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ“...

უგრძვნია კი ეს როდესმე?

* * *

ᲗᲣᲛᲪᲐ, „რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი“...

კი ბატონო, პროზა დავიმოწმოთ.

„როგორ შეიძლება, მშვიდად ეძინოს კაცს, რომელიც თავის სამშობლოზე უკეთ ცხოვრობს?“ - გურამ დოჩანაშვილის ეს კითხვაც სააკაშვილისთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდება:

ის იყო ბედკრული ქვეყნის პრეზიდენტი და ცხოვრობდა როგორც მდიდარი და აყვავებული საამიროს შეიხი.

* * *

ᲓᲦᲔᲡ, როცა სხვის სამშობლოში ძალით შეაღწია და სამომავლოდ საქართველოში შემოჭრას იმუქრება, მძაფრი სურვილი მაქვს, მივმართო:

ჩამოდი და იცხოვრე ჩვენთან, ჩვენსავით, ანუ ჩვენი სამშობლოსავით.

მაგრამ გაიგებს კი, რას ვეუბნები?

ახსოვს(სიმღერიდან მაინც) კი ეს სიტყვები: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“...

იცის, რომ ეს ორი ცნება განუყოფელია? — ან ორივე გწამს, ან არც ერთი.

თუ არ გწამს, სადაც გინდა, იქ შეიჭრები, სამშობლოს გარდა, რადგან სამშობლო, უფალივით, ჯერ გულშია და შემდეგ მიწაზე...

სხვათა შორის, ამის შეხსენება არც „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წარმომადგენელს აწყენდა...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲯᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

P. S. ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, იმავე კითხვით დამემთავრებინა, რითაც დავიწყე, მაგრამ პოეზიის დედოფალი ამას, ალბათ, აღარ მაპატიებდა...

ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲐᲠᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ღვინის იმპორტიორებისა და ჟურნალისტების ჯგუფი ჩინეთიდან ერთკვირიანი ვიზიტით საქართველოს ეწვია, რომლის ფარგლებშიც სტუმრები ღვინის მარნებსა და კომპანიებს ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში მოინახულებენ. ღვინის პროფესიონალები ადგილზე დააგემოვნებენ ქართულ ღვინოებს, გაეცნობიან ქართული ტრადიციული მეთოდით ღვინის დამზადების ტექნოლოგიასა და რთველის პროცესს.

13-კაციან ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტარქტორი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი ხელმძღვანელობს. ღვინის იმპორტიორები ვიზიტის პირველ დღეს თბილისში ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც კომპანიებს საკუთარი პროდუქციის იმპორტიორებისთვის წარდგენის შესაძლებლობა მიეცათ.

დებრა მეიბურგის თქმით, ჯგუფის შემადგენლობაში ღვინის იმპორტიორები და ჟურნალისტები ჰონგ-კონგიდან და ჩინეთის სხვა ქალაქებიდან არიან. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის განცხადებით, მარკეტინგულ სტრატეგიაში ძალიან მნიშვნლოვანია, რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი და ღვინით დაინტერესებული სტუმარი გაეცნოს ადგილზე უძველეს ქართულ ღვინის კულტურას.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი ღვინის პროფესიონალი ჩამოვიდეს საქართველოში. ეს ჯგუფიც სწორედ ასეთი პროფესიონალი ღვინის იმპორტიორებისა და ჟურნალისტებისგან შედგება. მათ მიერ დაწერილი სტატიები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისთვის შესაბამის ბაზრებზე“, — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ ამ ვიზიტების შედეგად, აზიის ბაზარზე მომუშავე იმპორტიორებსა და ქართულ ღვინის კომპანიებს შორის ბიზნეს ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდება. ჩინეთი რჩება ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრად. 2017 წლის 8 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 5 მლნ-ზე მეტი ბოთლი, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში ჩინეთი მეორე ადგილს იკავებს.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ!

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ საქმიანი ვიზიტით მყოფ საქართველოს და შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის (**PABSEC**) დელეგაციებს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე ხელმძღვანელობს. ოფიციალური დელეგაციის წევრები ჩინეთის ბიზნეს წრეებისა და უმსხვილესი კომპანიების პირველ პირებს ხვდებიან.

„საქართველოს სახით რუკაზე გაჩნდა ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მსოფლიოში წამყვანი ბაზრების მქონე ყველა სახელმწიფოსთან ექნება, რაც ინვესტორებისთვის სერიოზული სიგნალია“ — ეს განცხადება „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ძიანგსის პროვინციის გუბერნატორთან შეხვედრისას გააკეთა.

„ქართულ დელეგაციას საზეიმო დახვედრა ძიანგსის პროვინციის გუბერნატორმა ლიუ ციმ მოუწყო. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალზე ისაუბრეს და ორმხრივი თანამშრომლობის სურვილი ტექსტილის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი წიაღისეულის გადამუშავების სფეროებში გამოთქვეს. საუბარი შეეხო საქართველო — ძიანგსის პროვინციას შორის პირდაპირი რეისების დანიშვნისა და საქართველოს, როგორც კონკურენტუნარიანი სარკინიგზო კორიდორის გამოყენების საკითხებს. „საქართველო ინვესტიციების დაბანდებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა, ჩვენ გამოვთქვამთ დიდ ინტერესს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივის მიზნით“, — განაცხადა ლიუ ციმ.

რატომ გვიძნელდება სიმართლის აღიარება?!

...გაზეთებში დღესაც იწერება, თითქოს 2008 წელს სარკოზიმ გადაარჩინა თბილისი რუსებისგან აოხრებას. გამოდის, ყველაფერი ეს მოხდა სააკაშვილის ნაცებისა და „ევროპელების“ ბელადის ძალისხმევით. ასე თუ არის, მაშინ მომდინარე არჩევნებში თბილისის „გადამრჩენებს“ უნდა დაეჭიროს მხარი. სინამდვილეში ეს „გადამრჩენები“ არიან თაღლითები, თავხედები, პროვოკატორები, ავანტიურისტები, ყოველნაირად გახრწნილი ინდივიდები, რომელთა ადგილი ამ ღვთის მიერ ბოძებულ მიწაზე არ უნდა იყოს.

მოვყვეთ ქრონოლოგიურად, თუ როგორ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი?

— ვინაიდან სააკაშვილს ძლიერ ეშინოდა ოპოზიციის — 2008 წლის შემოდგომაზე მას გადაყენებას უპირებდნენ, ამიტომ რაც არ უნდა დასჯდომოდა მიშას სამაჩაბლო უნდა დაებრუნებინა, რათა ქართველების გული მოეგო.



ძლიერ შეცდომას უშვებენ, როცა ამბობენ: ვინ დაიწყო ომი, სააკაშვილმა თუ პუტინმა? — სააკაშვილი ომს გაუბედავდა რუსეთს? რაკი იგრძნეს სამაჩაბლოში მყოფმა რუსმა გენერლებმა — თუ რა იყო სააკაშვილის დაუოკებელი სურვილი — ყველა მეთოდს, ხერხს მიმართეს, რათა დაერწმუნებინათ სააკაშვილი იმაში, რომ ოსეთ-საქართველოს ომში იქ მყოფი რუსი სამხედროები არ ჩაერეოდნენ. საკითხავია, საიდან გაჩნდა ასეთი იდეა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, გარკვეულ გარეშე ძალებს როდი სურთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაცია. სავარაუდოა, ამ ძალებმა რუსი სამხედროები მოქრთამეს, რათა სააკაშვილი შთაეგონებინათ იმაში, რომ სამაჩაბლოში მყოფი რუსი სამხედროები წარმოშობილ კონფლიქტში არ ჩაერთვებოდნენ. ამის დამადასტურებელი ფაქტი მრავალია.

— ხბოსავით აღტყინებულმა სააკაშვილმა ცხინვალის მასირებული დაბომბვა დაიწყო. ისტორიას არ ახსოვს მაგალითი იმისა, რომ ომი ქალაქის დაბომბვით დაეწყოთ. ამას ბარბაროსები, ვანდალები, თვით ფაშისტებიც კი არ სჩადიოდნენ.

კრემლს ამ დროისთვის ომის დაწყება არ სურდა, მან უკვე მიიღო ის, რაც მისაღები იყო და ამჯერად მშვიდად ყოფნას ამჯობინებდა, მაგრამ რაკი უგუნურმა სააკაშვილმა შექმნა ისეთი ვითარება, რომ რუსეთს გაუჩნდა მეტის მიღების საშუალება, ისიც ხალისით ჩაება სააკაშვილის მოწყობილ პროვოკაციაში. ეს ისე გამოდის, როცა მეთევზე თავის ანკესზე ვეშაპს წამოაგებს. ბუნებრივია, მეთევზე ვეშაპს ვერ დაიჭერს, თვით მეთევზეს კი ვეშაპი ოკეანის სიღრმეში გაიტაცებს...

იბადება კითხვა: ყველაფერ ამის შესახებ იცოდა თუ არა კრემლმა? — რა თქმა უნდა არა, ისე, როგორც არ იცოდა თუ რას აკეთებდნენ რუსი სამხედროები ჩეჩნეთში. მხედველობაში მაქვს იარაღის გაყიდვა ჩეჩენ მებრძოლებზე. ამ მოსაზრების ერთ-ერთი დამადასტურებელი არგუმენტი ისიც არის, რომ ამ დროს პუტინი პეკინში ოლიმპიადის თამაშებს არხეინად უყურებდა.

კრემლი შექმნილ სიტუაციაში არ დაიბნა და გაეროს მიმართა: სააკაშვილი მშვიდობიან ქალაქს ბომბავს და სასწრაფოდ უნდა მიიღოთ სათანადო ზომებიო! თუ ასე არ მოხდება, რუსეთი მოვალეა დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობაო. გაერომ დააყოვნა და რუსეთმა დაძრა 58-ე არმია, რომელიც საზღვართან იყო განლაგებული. სამხედრო საქმის უმეცარნი ამბობენ, რომ შეუძლებელია ორ დღეში არმიის ისე მომზადება, რომ სალაშქროდ განეწყოსო.

ძლიერი სახელმწიფოს სასაზღვრო ჯარები ყოველთვის მზად არიან თავდასხმისთვის, ხოლო სუსტნი — თავდაცვისთვის. თავდაცვიდან თავდასხმაზე გადასვლა, რასაკვირველია, დროს მოითხოვს. შეტევისთვის მომზადება 58-ე არმიას არ დასჭირვებია.

მედვედევმა ომის დაწყების პირველ დღეს განაცხადა: ჩვენი ამოცანა არის სამხრეთ ოსეთის შემოგარენის ქართველი სამხედროებისგან განთავისუფლება. თბილისში რუსები რომ შემოსულიყვნენ, ხომ ეტყოდნენ, თქვე დალოცვილებო, თუ ცხინვალის დაცვა გსურდათ — თბილისში რაღა გინდოდათო. ჩემი აზრით, მთავარი ფაქტორი რუსების თბილისში არშემოსვლისა იყო: როგორც ცნობილია, აშშ-მა ერაყში განახორციელა სამხედრო ინვაზია. სიკვდილით დასაჯა სადამ ჰუსეინი და მისი შვილები. ამ აგრესიამ მთელი მსოფლიო აღაშფოთა. თვით აშშ-ის მეგობარი სახელმწიფოებიც კი, რასაკვირველია, რუსეთმა სასტიკად დაგმო აშშ-ის ქმედება ერაყში და ეს მოვლენა პოლიტიკური ქულების დაგროვებისთვის გამოიყენა. თუ რუსები თბილისში შემოიჭრებოდნენ და მთავრობას ძალისმიერად გადააყენებდა, ხსენებული ქულები დაიკარგებოდა. კრემლი ისედაც დარწმუნებული იყო იმაში, რომ სააკაშვილს და მის ბანდას ხელისუფლებიდან გარეკავდნენ და თვითონ რატომ ჩაერეოდა ამ საქმეში? სამწუხაროდ, ქართველებმა გამოვიჩინეთ წინდაუხედაობა (რბილად ნათქვამია) და ეს ბანდა ამ ტრაგიკული ომის შემდეგ კიდევ ოთხი წლის განმავლობაში ვაბოგინეთ. ახლა გამოდის გონებაჩლუნგი ბაქრაძე, რომელიც ომის დროს თბილისელებს მოუწოდებდა, რომ ხელში აეღოთ დანა-ჩანგალი და მტერს თბილისის მისადგომებთან დახვედროდნენ. ადამიანის გამოშტერება მინახავს, მაგრამ ამგვარი არასოდეს. არ რცხვენიათ ბაქრაძის თანამზრახველებს — უგულავას, მელიას, ბოკერიას, უდუმაშვილს, ხოშტარიას, ბარამიძეს და სხვებს, როდესაც აცხადებენ: მართალია, წინა ხელისუფლების დროს გამოუცდელები ვიყავით, უგუნურებიც, უჭკუოებიც, ავანტიურისტებიც, თაღლითებიც, გახრწნილებიც, მაგრამ ახლა გამოვსწორდით, კიდევ ერთხელ სინჯეთ და აგვირჩიეთ ხელისუფლებაში, დანა-ჩანგალსაც ამოვიღებთ თანამედროვე შეიარაღებიდან და სააკაშვილსაც განტევების ვაცად ვაქცევთო. სამწუხაროდ, ზოგს დაავიწყდა ნაცების შავბნელი საქმიანობა და ამჯერადაც ჰყავთ მათ გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერი.

მხარდამჭერებო, ისმინეთ და გაიცნობიერეთ მარტივი ჭეშმარიტება-ბოროტებისადმი მხარდაჭერა არ ნიშნავს კეთილ საქმიანობას.

ასე რომ, რუსების თბილისში შემოუსვლელობა, ვფიქრობ, ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრების გამო არ განხორციელებულა.

დავუშვათ, რუსები თბილისში შემოსულიყვნენ, ცოტა ხნის შემდეგ მაინც უნდა დაეტოვებინათ დედაქალაქი. საქართველო ხომ აშშ-ის გავლენის სფეროში იმყოფება. რუსეთს კარგად ესმის ის, რომ აშშ ასე იოლად არ დათმობს გავლენის ტერიტორიას.

ომის შემდეგ კიდევ მეტი საზიზღრობა მოხდა — თავხედმა სააკაშვილმა ქართველ ხალხს დამარცხება გამარჯვებად აზეიმა. ასეთი რამ ისტორიაში არ მომხდარა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ურაპატრიოტების უგუნურმა ქმედებამ, მხედველობაში მაქვს გარდაქმნის პერიოდში (1986-90 წ.წ.) აქციების ჩატარება, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, ხოლო სააკაშვილი და მისი თანამზრახველების ქმედებამ ,,დააგვირგვინა“ ქართველებისთვის ეს მეტად ტრაგიკული მოვლენა.

კიდევ ერთხელ გაგახსენებთ, ომის დაწყების პირველ დღეს ტელევიზიით გამოვიდა სააკაშვილი და ქართველ ხალხს საზეიმოდ ამცნო — თითქმის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას ვაკონტროლებთ, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა ის, რომ რუსები ამ ომში არ ერევიანიო!!! ეს სიტყვები ხომ პოლიტიკური თაღლითობის ნიმუში იყო.

ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა ასეთია: ტერიტორიული მთლიანობის რღვევას ბიძგი მისცეს ზემოხსენებულმა ურაპატრიოტებმა, ხოლო ეს საქმე ,,დააგვირგვინეს“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სააკისტებმა, რომლებიც ამჟამადაც დიდ პრობლემას უქმნიან ქვეყანას, საერთოდ კი ჩვენს და გარესამყაროს პროგრესს.

უმეცარნი იმასაც კი გვიმტკიცებენ, რომ ქართველების თვითაღიარება ამ ომის დაწყების აღიარების გამო, საერთაშორისო მასშტაბით ავტორიტეტს შეგვილახავსო. ჯერ ერთი, სიმართლეს ვერავის დაუმალავ. რა გამოვა, თუ გერმანელები ჰიტლერს გაამართლებენ? — რასაკვირველია, მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში გერმანელების ავტორიტეტი დაეცემა. მეორეც, ეს უპასპორტო მაწანწალა უკრაინასა და საქართველოში არეულობას და ამბოხს გეგმავს, ამიტომ ხალხს უნდა აეხსნას სააკაშვილისა და მისი მხარდამჭერების შავბნელი ჩანაფიქრი, რათა ქვეყანამ კვლავ არ განიცადოს დიდი ზარალი.

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ მკითხველს არ უნდა დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ქმედებებს ვამართლებ, სრულებითაც არა — რუსული იმპერიის სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ სინამდვილეს ვერსად წაუხვალ...

ვაჟა ჟღენტი

,,ოცნება“ — 7 მილიონი... ,,რესპუბლიკური პარტია“ — 40 ლარი!..

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2017 წლის 1 ივლისიდან 12 სექტემბრის ჩათვლით, პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ამ პერიოდში მიღებული შემოწირულობებით ლიდერობს „ქართული ოცნება“, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში შემომწირველებმა 7 მლნ ლარზე მეტი შესწირეს.

1 ივლისიდან 12 სექტემბრის ჩათვლით პარტიებს შემდეგი ოდენობით შემოწირულობები აქვთ მიღებული: „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ — 7.343.993 ლარი, „ევროპული საქართველო“ — 323.675.45 ლარი, „პატრიოტთა ალიანსი“ — 15.600 ლარი, „გირჩი“ — 15.300, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ — 12.204 ლარი, „ეროვნული ფორუმი“ — 9.215 ლარი, „ნაციონალური მოძრაობა“ — 5.432 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო — 900 ლარი, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია — 434 ლარი, „საქართველოს მშვიდობისათვის“ — 200 ლარი, „რესპუბლიკური პარტია“ — 40 ლარი.

მთლიანობაში, აღნიშნულ პერიოდში პარტიებს შემოწირულობის სახით მიღებული აქვს 7.726.993.45 ლარი.

სოზარ სუბარი: ,,ქართული მარშის“ მონაწილეებს ან გაგების უნარი აქვთ დაკარგული ან შეგნებულად მიდიან პროვოკაციებზე

— ასე გამოეხმაურა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი „ქართული მარშის“ აქციას. როგორც სუბარმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, **„ისინი ვის საქმეს აკეთებენ — რომელი პარტიის ან საქართველოს რომელი მეგობრის — თვითონ ჩაეკითხონ თავის თავს“.**



სამთვიანი „გადაუღებელი“ პაპანაქება სიცხეების შემდეგ, ერთ „მშვენიერ“ დღეს, ამოვარდა ქარიშხალი. თბილისში ხეები მიწიდან ამოგლიჯა, წაქცეულმა ხეებმა კი მანქანები დააზიანა. ასე მოხდა... ჯერჯერობით და შემდგომშიც არაფერს კარგს არ ველოდებით.

იმ დღეს ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი, სიცივისგან აბუზული და სიცივეს ვინ დაეძებს, ლამის იყო, ქარს წავეღე. ნამდვილად სკაფანდრით შემოსვის დროა-მეთქი, ვფიქრობდი, რა იცი, ამ ქარიშხლის გადამკიდე რომელ პლანეტაზე მოხვდება კაცი. მე კი სკაფანდრის ნაცვლად სიფრიფანა კაბაში ვიყავი. თუმცა ამ ქარბორბალას რა ენაღვლება შენი ჩაცმულობა, ყველანაირი სამოსით საითაც მას უნდა, იქით გაგაფრენს. არა, ხუმრობის დრო ნამდვილად არ იყო, ისე ოხრავდა და ავისმომასწავებლად სტვენდა ქარი, ძალიან შევშინდი. იქვე, ჩემს მახლობლად ასაკოვან კაცს ქუდი წაართვა, კიდევ კარგი თავად ეს კაცი არ წაგვართვა ქარმა. ღმერთი გვიჯავრდებაო, ისე დარწმუნებით ეუბნებოდა იგი თანამგზავრს, თითქოს პირადად ენახოს გაჯავრებული ღმერთი. ეჰ, თუ ასეა, მაშინ ღმერთი მარტო ჩვენ კი არადა, მთელ პლანეტას უჯავრდება, იცი, რა ხდება დედამიწაზე? სად ღვარცოფია და სად მეწყერი, სად მიწისძვრა და წყალდიდობა. ახლა კიდევ ახალი უბედურების მოლოდინშია ზოგიერთი კონტინენტი. ამ უბედურებას „ ირმა“ ჰქვია თურმე. გაგონილა, უბედურებას ქალის სახელი ერქვას?.. ამ საუბრით ისინი მოახლოებულ ავტობუსში ავიდნენ.

ზღვის სანაპიროზეც უარესი თუ არა, კარგი ამბავი ნამდვილად არ იქნებოდა, ჩემი ძმისშვილია წასული წვრილი ბავშვებით და რამდენი სხვები, რომლებიც ჩემთვის და ჩვენთვის სხვები არ არიან, მედარდება ყველა. სულ ცუდი ამბის მოლოდინში როგორ უნდა იყო ადამიანი! ამ ბოლო დროინდელმა ინფორმაციამ ავღანეთში სამი ქართველ ჯარისკაცის მძიმედ დაჭრის შესახებ გულზე შემომეყარა. ეს კიდევ მერამდენე „სამია“ და მერამდენე უბედურება! 11 სექტემბერსაც დაიჭრა ერთი ახალგაზრდა. ასეთი ბედი გვქონია ქართველებს, ჩვენი მიწა ხომ გაიჟღინთა და გაიპობა ჩვენი საჯიშე ბიჭების სისხლით, ახლა სხვისი მიწებიც უნდა შევღებოთ თურმე! თუმცა, რას ვამბობ, რომელი ახლა, დიდი ხანია, საუკუნეებია, რაც ასე გვჭირს. სხვის მიწაზე ხან მამლუქები ვიყავით და ხან ვეზირ-ნაზირების სტატუსითაც კი ვცხოვრობდით, მაგრამ მაინც აჭრიდნენ თავებს რჩეული ნიჭისა და შემართების მქონე ქართველებს.

რას იზამ, ყველა ქვეყანას, ყველა ხალხს თავისი ისტორია აქვს, შეიძლება კარგიც, საამაყოც, მაგრამ რომ ჩაუკვირდები, ერთმანეთზე უფრო საშინელი და შემზარავი. ხალხთა ისტორიები მართლაც რომ საოცარია და ყოველთვის და მუდამ აჩენს კითხვას: რა არის ადამიანი, ვინ არის ადამიანი?! ძალაუფლების მოპოვებისკენ მიდრეკილი, პირველობისთვის ბრძოლის ჟინით, ერთმანეთზე გამარჯვების სურვილით ანთებული. და რითი მთავრდება ყოველივე ეს? ურთიერთმტრობით და ერთმანეთის ჩაგვრით! აი ასე, ბრძოლით და სისხლით იწერება კაცობრიობის ისტორია. მათ შორის ჩვენიც...

ერთი სიტყვით, იმ ქარბორბალას გადავურჩით, მგონი, მაგრამ დღეისთვის სულ სხვაგვარი ქარბორბალა ტრიალებს თბილისში. ამ ქარბორბალას კონკრეტული სახელი — არჩევნები ჰქვია. იგი არანაკლებ მძვინვარე და ვნებიანია, ვიდრე ბუნებრივი ქარიშხალი. არის დაუნდობელი შეხლა-შემოხლა, შხამიანი კბილებით ერთმანეთის კბენა, ლანძღვა, ტალახით „გუნდაობა“. საოცრად დაეჭვებული ხალხი გაუგებრობაშია, ამ გაშავებულ-გატალახიანებულებიდან როგორ ან ვინ ამოარჩიონ ქალაქის თავად. ან რომელ „თავზეა“ ლაპარაკი. თავი არავის არა აქვს თურმე, ნიღბებით უვლიათ და რას გაიგებ მათ თავიანობას! საქართველოს ქალაქების მერების არჩევნების სამზადისში მყოფი პარტიები მჭერმეტყველებაში, ენამზეობასა და უხვ და ბარაქიან დაპირებებში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. ერთნი საწყალი ხალხის გადაბირებას პენსიების ვითომდა მომატებით ცდილობენ. სხვები გვპირდებიან ტრანსპორტის საკითხების მოწესრიგებას და ქალაქის მოსახლეობის სუფთა ჰაერით უზრუნველყოფას. კი, ბევრი რამ ჭირდება ქალაქს... ყველაფერს, ყველაფერს გაგიკეთებთ, — ოღონდ ამირჩიეთო, — ერთმანეთს არ აცლიან დაპირებების გადმოფრქვევას მერობის კანდიდატები. ჩვენს დედაქალაქს (როგორც სხვა ქალაქებს) მართლაც ძალიან სჭირდება ჭკვიანი, გონიერი, ნიჭიერი, ღირსეული, კაცთმოყვარე ადამიანი. ნუთუ მართლაც ასეთი (ჭკვიანი და წესიერი) „დიმიტრი გელოვანია“ მხოლოდ და ისიც კინოეკრანზე?

ეს ყველაფერი იქით იყოს და, ვაითუ არც გვჭირდება ქართველებს გონიერი კაცი ქალაქის თავად? აი, ეს არის საკითხავი, აბა, რატომ ვერ მივაგენით ამ 25 წლის მანძილზე ქალაქის მართვისა და ორგანიზების ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს... კი ბატონო, ნიჭი შეიძლება არ აკლდათ, მაგრამ გულიც ხომ უნდა შესტკიოდეს საქმისთვის, ქალაქელებისთვის. როგორ არაო, თქვენთვის ცეცხლში ჩავვარდებიო, რას არ გავაკეთებო, — გაიძახის ამა თუ იმ პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატი და განა მარტო ერთი და ორი, ყველა! პარტიებით კი იცოცხლე, მდიდრები ვართ, რა სახელწოდებისა და რა ფორმისა გნებავთ, ყოველგვარი გვყავს. შინაარსისა კი რა მოგახსენოთ, თორემ... დიახ, ნიჭი არ აკლდათ, კაცთმოყვარეობა და პატიოსნება, პასუხისმგებლობა აკლდათ ყოფილ მერებს, საუბედუროდ ... როგორც კი „ტახტზე“ მოხვდნენ, სულ დაავიწყდათ ხალხის ინტერესები, ქალაქის სახესა და მის არქიტექტურაზე ზრუნვა. კარგად „იმუშავეს“ თავიანთი საკუთრების განსავრცობად!.. პირის გემოც ახარეს და...

დღეს კი, ასეთ ქარიშხალშია ქალაქი გახვეული. პარალელურად არც საანახაობებს გვაკლებენ. აი, ახლა, ბევრის ინტერესებშია თუ როგორ მიუახლოვდა ბატონი სააკაშვილი პოლონეთიდან უკრაინის საზღვარს, როგორი კრიატიულია, როგორი ენთუზიაზმით ლაპარაკობს, როგორ გადალახა უკრაინის საზღვარი... ყველაფერი ეს დაწვრილებით გადმოიცემოდა ტელევიზიით... ზოგიერთი ამ საქციელს გმირობადაც აფასებს. კანონი რას ამბობს, ამას მნიშვნელობა არა აქვს თურმე. არც საზღვრის ურღვევობის კონსტიტუციური პრინციპია რაიმედ ჩასაგდები. ერთი სიტყვით, ოსტაპ ბენდერი უკვე უკრაინაშია და ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროშია დაბინავებულიო, გვიცხადებენ კორესპონდენტები. ამისა და ასეთთა ქცევების წარჩინებულობაზე საუბარი ნამდვილად წამახალისებელია ჩვენი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსებისთვის, ძალადობას და პროვოკაციას დადებით მონაცემებად აღიქვამენ და როგორ უნდა ენდოს ხალხი ასეთებს!..

ახალი ამბავი გავრცელდა — კიდევ ერთი სასტიკი ქარიშხალი, სახელწოდებით „კატია“ ელის, ამ ჯერზე, მექსიკას! ჩვენთან კი პოლიტიკური ქარიშხალი კიდევ უფრო ძალაში შედის და არავინ იცის, რა შედეგებს მოუტანს ჩვენს დედაქალაქს და რეგიონების ქალაქებს. გახიზვნა არ მოგვიწევს, მაგრამ, ზოგჯერ ამ პოლიტიკური ქარიშხლის დამანგრეველ შედეგებთან ერთად ცხოვრება მეტისმეტად სავალალოა!..

გულნარა სტურუა

ირანის ვიცე-პრეზიდენტი: საქართველო ირანელებისთვის მთავარი ტურისტული დანიშნულების ადგილია

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 22-ე სესიის ფარგლებში საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრა გამართა ირანის ვიცე-პრეზიდენტთან, ირანის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ალი აშგარ მოუნესანთან.

შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს საქართველოსა და ირანს შორის არსებული ისტორიული კავშირები და მიესალმნენ ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მზარდ დინამიკას.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, ისევე როგორც ირანის ვიცე-პრეზიდენტმა გამოხატეს ორივე ქვეყნის დიდი ინტერესი, განავითარონ ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის აღნიშნეს საქართველოსა და ირანის შესაძლებლობები რეგიონის წარმოჩენის და მისი განვითარების თვალსაზრისით.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მიმოიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირანში ვიზიტის დროს მიღწეული მნიშვნელოვანი შეთანხმებები, რამაც კიდევ ერთხელ ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას.

შეხვედრაზე საუბარი ასევე დაეთმო ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას, კულტურულ და ხალხთაშორის ურთიერთობებს.

ირანის ვიცე-პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ირანის მხრიდან საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების მიმართ მზარდ ინტერესს და აღნიშნა, რომ ირანელებისთვის საქართველო ერთ-ერთი მთავარი ტურისტული დანიშნულების ადგილია.

ბინა საკუთრებაში კიდევ 429 დევნილ ოჯახს გადაეცემა

16 სექტემბერს ქუთაისში კიდევ 429 დევნილ ოჯახს — დაახლოებით 1 500 დევნილ მოქალაქეს ბინა საკუთრებაში გადაეცემა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება. მთავრობის მეთაურის თქმით, ქუთაისსა და წყალტუბოში უკვე დაწყებულია ახალი კორპუსების მშენებლობა და 2018 წელს კიდევ 700-მდე დევნილი ოჯახი მიიღებს ბინას.

თუშეთში სწრაფი ინტერნეტი უკვე ხელმისაწვდომია

თუშეთის 24 სოფელსა და 4 ხეობაში სწრაფი ინტერნეტი უკვე ხელმისაწვდომია. ძალიან მნიშვნელოვანი და საისახარულო სიახლე — ასე შეაფასა ფაქტი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

პროექტი ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით „თუშეთის განვითარების ფონდმა“, საერთაშორისო ორგანიზაცია The Internet Society-თან ერთად განახორციელა.

პეკინის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა პარკინგი მოეწყობა

პეკინისა და მიცკევიჩის მიმართულებით არსებულ ტერიტორიაზე, მიწისქვეშა პარკინგი მოეწყობა, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ეს წინადადება, როგორც ბიზნეს-წინადადება, განხილვის სტადიაზეა და მივიღებთ აუცილებლად დადებით გადაწყვეტილებას. პარკინგი ამ ტერიტორიას დამატებით აუცილებლად სჭირდება. პეკინის რეაბილიტაცია არ მოიცავდა მიწისქვეშა პარკინგის გაკეთებას, ეს ცალკე დამოუკიდებელი პროექტია“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მარო თარხნიშვილი – ქალი სიმღერა...

რადიოს გულდასმით მივაყურადე! უცნაურმა აზრმა გამიელვა: როგორ, „ურმული“ ქალის შესრულებით? აქამდე მას ხომ მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ? გონებაში ყოველთვის ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილის მიერ ნამღერი ეს ბრწყინვალე ხალხური მელოდია ჩამესმოდა. მაგრამ ამჯერად რადიოდან ქალის რბილი, ხავერდოვანი, კონტრალტოს ხმით გაჟღერებული „ურმული“ ისმოდა. ეს ჩვენი ქართლ-კახური სიმღერების უბადლო ოსტატი მარო თარხნიშვილი გახლდათ. მის ხმას, შესრულების სტილს და მანერას ყველასგან გამოარჩევდი. იგი არავის ჰგავდა, არავის ბაძავდა, ინდივიდუალურობის ელემენტებით გამდიდრებული, მხოლოდ და მხოლოდ მის საკუთრებას წარმოადგენდა. სიმღერამ მომხიბლა, ბოლომდე დამატყვევა და ჩემთვის გავიფიქრე: ბარაქალა შენ, ქართველო, რომ ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებული, მსოფლიო დონის ხალხური სიმღერები შექმენი და ამ საგანძურს ათეული წლების განმავლობაში არაჩვეულებრივი შემსრულებლები ჰყავდა და ჰყავს, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უდავოდ მარო თარხნიშვილს ეკუთვნის.

დაიბადა 1891 წელს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, თავად ესტატე ნიკოლოზის-ძე თარხან-მოურავისა (თარხნიშვილის) და ნატალია იოსების ასულ მექანარიშვილის ოჯახში. ესტატე, ცნობილი ისტორიული გმირის, გიორგი საკაძის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ. მარო, ესტატეს და ნატალიას მეცხრე შვილი იყო. ოჯახში ყველა მღეროდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მარო და მასზე ცამეტი წლით უფროსი ეკატერინე. საღამო ხანს მინდვრიდან დაბრუნებული გლეხები ხშირად ჩერდებოდნენ ესტატეს სახლთან, საიდანაც შეხმატკბილებული და ულამაზესი ქართული ხალხური ჰანგები ისმოდა.

მარო პატარაობიდანვე მუსიკისადმი გამორჩეულ დაინტერესებას იჩენდა, მას სასიამოვნო ტემბრის ხმა აღმოაჩნდა. დებმა ეკატერინემ და მარომ ბავშვობიდანვე შეუწყეს ხმები ერთმანეთს, რომელსაც ყოველთვის მამის მოხდენილი ბანი ამშვენებდა. უნდა აღინიშნოს, რომ მაროს მუსიკალური მონაცემები მაინც გამოირჩეოდა ოჯახის სხვა წევრებისგან. მას ხშირად ნახავდით მინდორში, სადაც გლეხები მუშაობასთან ერთად სხვადასხვა შრომით სიმღერებს მღეროდნენ. მარო ყველაფერ ამას დიდი გულისყურით ისმენდა და მყარად ითვისებდა. მან სრულად შეისისხლხორცა მეურმე ალექსი ალიბარაშვილის ნამღერი „ურმული“. „ურმული“ ხომ ფიქრის სიმღერაა? განა სად ან რა ვითარებაში შეეძლო ჩვენს ხალხს, ჩვენს გლეხს ფიქრს მისცემოდა, თუ არა ურმის კოფოზე. მხოლოდ ურემზე შეიძლება დაბადებულიყო ეს მომაჯადოებელი მელოდია. მაროს ხელში მან სულ სხვა ხასიათი შეიძინა, იგი სულ სხვა ნიუანსებით გაამდიდრა და ისე წარუდგინა დაინტერესებულ მსმენელს.

მარო სრულიად ახალგაზრდა, თოთხმეტი წლის ასაკში გაათხოვეს. მიუხედავად ამისა მას სიმღერასთან კავშირი არ გაუწყვეტია, პირიქით, უფრო აქტიურად ჩაება ამ საქმეში. 1910 წელს 19 წლის მაროს მცირერიცხოვანი ანსამბლი პირველად გამოდის გორის საზოგადოების წინაშე. იმდროინდელი გორი პატარა და კოხტა ქალაქი იყო, თუმცა იმავდროულად ქართული კულტურის მოწინავე კერაც გახლდათ, სადაც ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ნიკო ლომოური, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი. სამწუხაროდ, მაშინ რუსეთის რეაქციული რეჟიმის მიერ ფარულად იყო შევიწროებული ჩვენი ეროვნული ტრადიციები, ქართული სიმღერა-გალობა. ამას ხელს უწყობდა ადამიანთა თვითშეგნების დაბალი დონე, კულტურული მემკვიდრეობის გულშემატკივართა უნუგეშო მდგომარეობა. ქალის სცენაზე გამოსვლა ხომ დიდ სირცხვილად და მიუღებლად ითვლებოდა. დები მარო და ეკატერინე თარხნიშვილები არ შეუშინდნენ საზოგადოებაში გამეფებულ მეშჩანურ და სტერეოტიპულ შეხედულებებს და ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილნი გაბედულად წარსდგნენ ფართო მსმენელის წინაშე. გორის გარდა ისინი კონცერტებს მართავდნენ ცხინვალში, ხაშურში, სურამსა და ბორჯომში.

1917 წლიდან თარხნიშვილები თბილისში გადადიან სამოღვაწეოდ. მაროს მიერ ჩამოყალიბებული ქართლ-კახური სიმღერების შემსრულებელი გუნდის პირველი საჩვენებელი კონცერტი გაიმართა თბილისში 1918 წლის 9 იანვარს. კონცერტს უამრავი ხალხი დაესწრო და ანსამბლმა ბრწყინვალე შეფასება დაიმსახურა. მომდევნო წლის 24 მარტს იოსებ გრიშაშვილმა გამართა ტრადიციული ლიტერატურული საღამო, სადაც მიწვეული იყო თარხნიშვილთა გუნდი. ამ საღამოს მარო თარხნიშვილმა სოლოდ იმღერა „დაიგვიანეს“ და „ურმული“. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დაიბეჭდა საუკეთესო რეცენზიებიც. გარდა ამისა, დებმა ეკატერინემ და მარომ დიდი წარმატებით შეასრულეს „ჭონა“, „მუშური“, „მე რეგვენმა პატარძალმა“ და სხვა. ამის შემდეგ მათ ხშირად იწვევდნენ ამა თუ იმ საზოგადოების მიერ გამართულ საღამო-კონცერტებზე. 1923 წლიდან მოყოლებული 1945 წლამდე, იშვიათად გამართულა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო ან სახალხო ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღო თარხნიშვილთა სახელოვან გუნდს.

მარო თავისი მომაჯადოებელი ხმითა და საშემსრულებლო ოსტატობით დღითი დღე იპყრობდა მსმენელთა გულებს. მას მალე სახელმწიფო კონსერვატორიაში ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად იწვევენ. კონსერვატორიის რექტორი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი აღფრთოვანებულია მისი ვოკალური მონაცემებით. ანსამბლში მომღერალთა რაოდენობა მატულობს, ძალას იკრებს და ახალი შემართებით გამოდის. მაროს ქალ-ვაჟი თამარი და ივანე მის გუნდში მღერიან და პარალელურად კონსერვატორიაში სწავლობენ.

1923 წელს ბათუმში საქველმოქმედო მიზნით დიდი საღამო-კონცერტი გაიმართა, სადაც მიწვეულნი იყვნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე. ქართული ხელოვნების ამ კორიფეებთან ერთად დები თარხნიშვილების გამოსვლამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

1927 წელს დები თარხნიშვილები ანსამბლთან ერთად, ქუთაისში სახელმწიფო და თვითმოქმედი კოლექტივების პირველ ოლიმპიადაში იღებენ მონაწილეობას, სადაც პირველი ხარისხის დიპლომით ჯილდოვდებიან. იმავე წელს საქართველოს მთავრობამ მოსკოვში მიავლინა ჩვენი რესპუბლიკის მომღერალთა გუნდები. მათ შორის იყო თარხნიშვილის გუნდიც, რომელიც წარმატებით გამოსვლისთვის წარჩინების სიგელით დააჯილდოვეს. 1929 წელს ანსამბლი ხელმეორედ მიემგზავრება საგასტროლოდ მოსკოვში. ნაყოფიერი მუშაობისა და წარმატების საპასუხოდ მას სახელმწიფო დაფინანსება დაენიშნა. ამის შემდეგ მომღერალთა გუნდი მრავალჯერ გაგზავნეს საგასტროლოდ, როგორც მოსკოვში, ისე უკრაინაში, აზეირბაიჯანში, სომხეთში და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ყველგან წარმატება, გამარჯვება, აღიარება და ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა დაჰყვებოდათ თარხნიშვილებს.მათ უამრავი უნიკალური ქართული ხალხური სიმღერა გააცვნეს და შეაყვარეს დამსწრე მაყურებელს, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: „ჩაკრულო“ , „ბერიკაცი“, „ზამთარი“, „შაშვი-კაკაბი“, „მრავალჟამიერ“, „ოროველა“, „ურმული“, „ჭონა“, „არაგვისპირული“, „გლესავ და გლესავ, ნამგალო“, „სოფლელი გლეხის ბიჭი ვარ“, „ცანგალა და გოგონა“, „თეთრო ბატო“. მათ რეპერტუარში შედიოდა აგრეთვე ნაკლებად ცნობილი სიმღერები: „ღმერთო მეც გადმომხედე“, „ბიჭო მამალმა იყივლა“, „მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით“, „წავალ და წავალ“, „თამარის ქოში“ და სხვა მრავალი.

სამამულო ომის პერიოდში თარხნიშვილებმა 400-მდე უფასო და საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარეს მოქმედი არმიის ნაწილებში და საზღვაო ფლოტის მებრძოლებთან, სამხედრო ჰოსპიტლებსა თუ პატიმართა კოლონიებში. ქალბატონი მარო დიდი გულმოწყალების მაგალითებსაც იძლეოდა – თავდაცვის ფონდს უგზავნიდა კონცერტებიდან მიღებულ შემოსავალს. მის არქივში სამხედრო-საშეფო მუშაობისათვის მადლობით აღსავსე არაერთი წერილი თუ ჯილდო ინახება. ანსამბლი ეხმარებოდა უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებს.

მრავალი წლის მანძილზე მარო თარხნიშვილი განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო თუ თვითშემოქმედებით ანსამბლებს, რუსთავის, გორის, კასპის გუნდებს... ხოლო 1949 წლიდან დიდხანს – საქართველოს მრეწველთა საბჭოს კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს ედგა სათავეში. იგი გახლდათ შესანიშნავი ორგანიზატორი, ენერგიული, გულისხმიერი, წინდახედული და გაწონასწორებული პიროვნება.

– **„ყველანი შეხმატკბილებულად, პატივისცემითა და სიყვარულით ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. ყველაფერს კი მაინც მარო აწესრიგებდა და მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მისი ხელი ყველას წვდებოდა, განსაკუთრებით კი პატარებს არ გვაკლებდა სითბოსა და სიყვარულს“**. – იგონებს მისი შვილიშვილი მარიკა კვალიაშვილი.

ამაგდარი ხელოვანის მოღვაწეობის არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მომღერალთა და ლოტბართა კადრების აღზრდა-დაკვალიანება. მან არაერთი პიროვნება აზიარა ხალხური სასიმღერო ხელოვნების მარგალიტებს და სალოტბარო საქმიანობის საფუძვლებს. ასეთთა შორის არიან: შალვა კოვზირიძე, ავთო სარაჯიშვილი, ილო კაპანაძე, გიორგი ვარდიაშვილი, ვასო კობახიძე, რეზო თურქაძე, თამარ თარხნიშვილი, გიორგი ფალავანდიშვილი, ლევან ქარუხნიშვილი და სხვები.

მუსიკალურ სფეროში ქალბატონი მაროს კვალს გაჰყვნენ მისი შთამომავლები: შვილიშვილი მარიკა კვალიაშვილი და შვილთაშვილი, შესანიშნავი ხმის მქონე მომღერალი ეკა კვალიაშვილი.

ქართლ-კახური სიმღერების უბადლო შემსრულებელს და ლოტბარს მარო თარხნიშვილს 1956 წელს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა, დაჯილდოებულია არაერთი ორდენით და მედლით. მასზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, ხოლო თვით მარო და მისი ანსამბლის წევრები მონაწილეობდნენ მხატვრულ ფილმში - „სოფლის სურათები“. მას ხალხურმა მომღერალმა ალექსანდრე მაისურაძემ ასეთი სიტყვები უძღვნა:

„ვისი დედის ძუძუ სწოვეთ,
ვის ადგია შუქი მზისა,
ან ვინ გითხრათ აკვნის ნანა,
სადაურმა, რომელ მხრისამ?
სად გაქურდეთ ის ბულბული,
ვისაც ენა ამოგლიჯეთ,
არ იქნება ჩვენც გვასწავლოთ –
სახლში გყავთ თუ მინდვრად იჭერთ?..“

ხალხური სიმღერის დედაბოძი, ქართლ-კახური სიმღერების დამცველი და მოჭირნახულე მარო ესტატეს ასული თარხნიშვილი გარდაიცვალა 1969 წელს, 78 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



გელა ძოძიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

იწყება პარხალის სარეაბილიტაციო სამუშაოები



16 სექტემბრიდან **თურქეთში ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის – პარხალის მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება და პირველად, ამ პროცესში ქართული მხარე ოფიციალურად ჩაერთვება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

ინფორმაციით, რომელიც ტაოკლარჯეთიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ჩამოიტანა, რესტავრაციის პროცესში ქართველი სპეციალისტები – სამხატვრო აკადემიის რესტავრატორები ჩაერთვებიან.

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲡ, ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲙᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲤᲨᲕᲜᲔᲢᲡ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „Rzeczpospolita“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢ ᲐᲜᲯᲔᲘ ᲑᲔᲚᲔᲪᲙᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲗ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘᲕᲔ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ ᲙᲘ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲘᲐᲪᲔᲙ ᲡᲐᲘᲠᲣᲨ-ᲕᲝᲚᲡᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲠᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ? ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲒᲐᲠᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲑ, თუ არა უკრაინის ხელისუფლების სამარცხვინო უსუსურობის გამოვლენას.

სხვათა შორის, ბოლო პერიოდში პოლონეთ-უკრაინის მოკავშირეობა კრიზისს განიცდის და ინგრევა.. ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე თვის წინათ პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ პეტრო პოროშენკოს მკაცრად უსაყვედურა — რას აქებთ და ადიდებთ „უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციასო“ (რომლის ლიდერი სტეპან ბანდერა იყო. სხვათა შორის, 1941-42 წლებში ბანდერელებმა ვოლინში, გერმანელების მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ტერიტორიაზე ათი ათასობით პოლონელი დახოცეს. პოლონეთის დღევანდელი ხელისუფლება ამ ფაქტს გენოციდად აფასებს — **ს.ჯ.**)). პეტროს ძალიან სწყენია ასეთი საყვედური და სამაგიეროდ, თავის მხრივ, უარი უთქვამს „ვოლინის ხოცვა-ულეტის“ მსხვერპლთა საფლავების ექსგუმაციაზე, რითაც ხაზი გადაუსვა იმედს, რომ ჩვენი რთული ისტორიის საკითხების შესწავლის მიზნით რაიმე შეთანხმება დაიდება.

ძნელია იმის თქმა, რა სარგებლობას მიიღებს პოლონეთი მიხეილ სააკაშვილისათვის გაწეული მხარდაჭერით. ერთი რამ ცხადია: საქართველოს ექს-პრეზიდენტისა და უკრაინის ექსპრემიერის კავშირი გვაფიქრებინებს, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის გადამრჩენელი იქნება და რომ იგი უკრაინულ სახელმწიფოს კორუფციის სენისაგან იხსნის. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობის პრობლემების გაღრმავება სასიხარული იქნება ვლადიმერ პუტინისათვის.

* * *

„Rzeczpospolita“ — პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი ყოველდღიური გაზეთი, იბეჭდება ვარშავაში 1982 წლიდან. ტირაჟი — 160 ათასი ეგზემპლარი.

„Rzeczpospolita“ (პოლონეთი)

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲗᲝᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘᲐ!

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜ გერმანულ „Deutsche Welle“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია დასავლელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების კომენტარები საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უკრაინის საზღვარზე უკანონოდ გადასვლასთან დაკავშირებით.

„ლიტველი ევროდეპუტატი პიატრას აუშტრევიაჩუსი შოკირებულია პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე მომხდარი ფაქტით, როცა მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ტერიტორიაზე შევიდა. ევროდეპუტატის თქმით, იგი წინა დღეებში მიხეილ სააკაშვილს ბრიუსელში შეხვდა და ექსპრეზიდენტმა მას აღუთქვა, რომ საზღვარზე გადასვლისას ძალადობრივი მეთოდით არ ისარგებლებდა. „მე მას ბრალდებულად და ძალადობრივი პოლიტიკის მომხრედ არ ვთვლი, მაგრამ ის, რაც საზღვარზე გადასვლისას მოხდა, მიუღებელია: როცა შენ ხალხს მიმართავ და ამ დროს უმართავი ბრბოს ნაწილად იქცევი, სიტუაციის გაკონტროლება ძნელია. პოლიტიკოსისთვის ხალხისადმი აპელირება სახიფათოა, რადგან შემდეგ იგი ბრბოს მიერ ჩადენილი ქმედების მონაწილედ იქცევა. ის, თუ როგორი მეთოდით შევიდა მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში, აუცილებლად აისახება მის პოლიტიკურ კარიერაზე“, — ამბობს ევროდეპუტატი „დოიჩე ველე“-სთან ინტერვიუში. პიატრას აუშტრევიაჩუსის აზრით, ევროკავშირის პოზიცია ამ სიტუაციასთან დაკავშირებით ასეთი იქნება: „თავი დაგვანებეთ, თქვენს საქმეს თქვენვე მიხედეთ, ამ მოვლენებში ნუ ჩაგვრთავთ. ეს მოვლენა პოლიტიზებულია, ბევრი უკრაინელი პოლიტიკოსი ცდილობს მასში ჩართვას. მე პირადად ევროკავშირის ინტერესს ვერ ვხედავ. ჩვენ, ევროკავშირს, მხოლოდ ის გვინდა, რომ მიხეილ სააკაშვილის საქმე სწრაფად და სამართლიანად გადაწყდეს. ახლა სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის. უკრაინას აქვს შანსი კანონის უზენაესობა აჩვენოს“.

პოლონელმა ევროდეპუტატმა იაცეკ სარიუშ-ვოლსკიმ მკაცრად გააკრიტიკა უკრაინის ხელისუფლების პოზიცია მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ამ საკითხს ევროპარლამენტის უახლოეს სხდომაზე დააყენებს, თუმცა, როგორც მისი კოლეგა პიატრას აუშტრევიაჩუსი თვლის, საკითხის დაყენება არაფრის მომტანი არ იქნება: **„ვიმეორებ — ევროპარლამენტი ამ პოლიტიკური საქმით დაინტერესებული არ არის. ევროპარლამენტს არ სურს, მედიატორი იყოს მიხეილ სააკაშვილისა და სხვა უკრაინელ პოლიტიკოსებს შორის მიმდინარე დისპუტში“.**

„მიხეილ სააკაშვილის მიერ „საზღვრის გარღვევა“ დასავლეთის დიდ რეაქციას არ გამოიწვევს. მიუხედავად მისი დამსახურებისა საქართველოს რეფორმირების საქმეში, მიხეილ სააკაშვილის ბოლო მოქმედება ძალიან პათოსური და არასერიოზულია“, — ამბობს „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ჯ.მარშალის გერმანული ფონდის ანალიტიკოსი იორგ ფორბრიგი. **„მიხეილ სააკაშვილი აქტიურად იყენებს უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტს პოლიტიკური რეანიმაციისათვის. ამასთან, იგი ერთიანდება იულია ტიმოშენკოსთან, რომლის დემოკრატობა ძალიან საეჭვოა. ამ ორ ადამიანს პოპულისტობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი და ბრძოლაში იწვევენ „გაუბედავ რეფორმატორ“ პეტრო პოროშენკოს. ეს ის არაა, რაც დასავლელ პოლიტიკოსებს სურთ. ისინი ამ ე.წ. „ბიზანტიური ისტორიისაგან“ შორს ყოფნას ამჯობინებენ“,** — ამბობს ინტერვიუში იორგ ფორბრიგი.

უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი სტივენ პაიფერი „დოიჩე ველეს“ ჟურნალისტთან საუბრისას ამბობს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტთან დაკავშირებული სიტუაცია პოლიტიკურ ცირკს წარმოადგენს: **„პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ თეატრალური სპექტაკლი დადგა, როცა მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა. თავის მხრივ, ექსპრეზიდენტმაც უკრაინაში დაბრუნება თეატრალური გზით გადაწყვიტა. ორივეს მოტივი საეჭვოდ მიმაჩნია. ამით დასავლეთში უკრაინის იმიჯი ზიანდება“,** — დარწმუნებულია ამერიკელი დიპლომატი.

ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲓᲠᲐᲑᲝᲙᲘ,
„Deutsche Welle“ (გერმანია)

ᲛᲝᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

„80 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ „ᲓᲘᲓᲘ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲔᲬᲕᲘᲝᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲠᲨᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲒᲛᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲔᲜ“ — ამის შესახებ ნორვეგიულ გამოცემა „ABC Nyheter“-ის მიერ ჟურნალისტ ბიორნ მუხოლდტის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშია საუბარი, რომლის ქართულენოვან ვერსიას, მცირეოდენი შემოკლებით აქვე გთავაზობთ:

საქართველო კავკასიური ქვეყანაა, რომელიც თურქეთსა და რუსეთს შორისაა მოქცეული. როგორც ამბობენ, საქართველო ღვინის სამშობლოა. ძალიან მაღალი გემოვნებითი თვისებებით გამოირჩევიან ქართული კერძებიც. გარდა ამისა, კავკასიის მთები ალპებს კონკურენციას ძალიან იოლად გაუწევენ. ამიტომაც იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის ნახვა ერთადერთი მიზეზი არ არის, თუ რატომ უნდა გაემგზავროს ნორვეგიელი ტურისტი საქართველოში.

გორი თბილისიდან ერთი საათის სავალზე მდებარეობს. სხვადასხვა მონაცემებით, აქ დაბადებული იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის (სტალინის) მმართველობის დროს საბჭოთა კავშირში განხორციელებული მკაცრი „წმენდების“ პერიოდში დაახლოებით 15 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. სტალინი ყველგან მტრებს ხედავდა. საინტერესოა, გავიხსენოთ, რომ ფაქტობრივად სტალინი ითვლება ამ ფრაზის ავტორად — „ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონებისა კი — სტატისტიკა“. რასაკვირველია, ასეთ რაღაცებზე მუზეუმში არ ლაპარაკობენ, სამაგიეროდ, თვითონ მუზეუმის შენობის სახე გვამცნობს იმას, თუ როგორ პატივს სცემენ გორში იოსებ სტალინს. ბევრი მნახველი იმ მომლოცველს ჰგავს, რომელიც იოსებ სტალინის საქმეებით აღფრთოვანებულია და მისი ყველაფერი მოსწონს. ზოგიერთს ცრემლებიც კი მოსდის, როცა ძლიერი საბჭოთა ბელადის ღარიბულ ქოხს და რკინიგზის ვაგონის ვიწრო კუპეს უყურებს. საერთოდ კი, თუ თქვენ გსურთ, სტალინის მუზეუმის ნახვის შემდეგ რაიმე ალტერნატიული გაიგოთ, მაშინ ამ კაცის შესახებ სხვა თანამედროვე მასალებიც უნდა წაიკითხოთ.

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲛᲐ

საინტერესოა, რომ იოსებ სტალინი რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს, თვით ვლადიმერ პუტინსაც კი უწევს კონკურენციას, რაც დასავლეთში გარკვეულ შეშფოთებას იწვევს.

გორში მდებარე სახლ-მუზეუმის ნახვა თქვენ დაგეხმარებათ იმის გაცნობიერებაში, თუ რას ნიშნავდა იოსებ სტალინი იმ ქვეყნისთვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ბელადის სისხლიან მოქმედებას პოლიტიკა განაპირობებდა.

„ABC Nyheter“ (ნორვეგია)

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის ცხრილი 1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.)
1	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. №24	16 114	საყოფაცხოვრებო 410 000 000 არასაყოფაცხოვრებო 140 000 000	საყოფაცხოვრებო 26.381–41.821 არასაყოფაცხოვრებო 67,608 – 82.746

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19 +995 032 2 42 01 80

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის ცხრილი 1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
1	სს „საქორგგაზი“	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. #13	16 114	საყოფაცხოვრებო 7 300 000 არასაყოფაცხოვრებო 3 000 000	საყოფაცხოვრებო 26.381–41.821 არასაყოფაცხოვრებო 67,608 – 82.746

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19 +995 032 2 42 01 80

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ* ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის ცხრილი 1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
1	სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. 13	2549430 sggd@socar.ge	არასაყოფაცხოვრებო 2 160 558	არასაყოფაცხოვრებო 63.429 – 70.8144

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

*** კომპანია ბუნებრივი გაზის რეალიზაციას ახორციელებს აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში, ყოველი თვის ბოლოს არსებული კომერციული ბანკის კურსით.

**** განცხადებაში მითითებული ფასაების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 11.09.2017 თარიღისთვის დადგენილი აშშ დოლარისა და ლარს შორის გაცვლითი კურსი.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19 +995 032 2 42 01 80

◎ ფეხბურთი

იმედრული ნიავი და...

დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალში ერთბაშად სამმა მესამელიგელმა გააღწია, ხონის „იმერეთის“ მიერ უძლიერესთა კვარტეტში მოხვედრა კი სპორტულ გმირობად შეგვიძლია მოვნათლოთ.

დავით ჭელიძის გაწვრთნილმა გუნდმა საკუთარ სტადიონზე რანგით ტოლ-სწორი დედაქალაქის „ნორჩი დინამო“ პენალტების სერიაში 4:2 (ძირითადი დრო – 2:2) დაამარცხა და ასე მაღლა პირველად აფრინდა.

ანალოგიურ სენსაციასთან ახლოს იყო ამავე ეშელონის ლიდერი თბილისის „შევარდენიც“, მაგრამ გიორგი კიკნაძის შეგირდებმა ბოლომდე ვერ გაუძლეს პრესტიჟული ჯილდოს მოქმედი მფლობელის – ქუთაისის „ტორპედოს“ იერიშებს და ზედ საფინალო სასტვენის წინ ბექა ტუღუშისგან საბედისწერო შორეული გასროლით დაისაჯნენ – 1:2.

გუშინ: „ჩიხურა“ – „დილა“ 3:0, „რუსთავი“ – „დინამო“ 0:0 (პენალტებით – 0:3) .

გოლების წვიმა ევროპაში

ლეო მესი ჯერ არც მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარა და არც კოპა ამერიკის გამარჯვებული – მის სანაკრებო კოლექციას მხოლოდ ოლიმპიური „ოქრო“ ამშვენებს. ვიმედოვნებთ, ჯერჯერობით...

საპირისპირო სურათია საკლუბო მიღწევების მხრივ, რადგან არ დარჩენილა ტიტული, არგენტინელ ჯადოქარს „ბარსელონასთან“ ერთად არაერთგზის რომ არ მოეპოვებინოს. და მაინც, კარიერის პიკზე მყოფ კატალონიური გრანდის ლიდერსაც კი წამ-

დაუწუმ წამოაძახებდნენ ხოლმე, ჯანლუიჯი ბუფონისთვის აქამდე ბურთი რომ არ ჰქონდა გატანილი.

და აი, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი სეზონის სტარტზე ნავსი გატყდა – „კამპ ნოუზე“ გამართულ ჯგუფური რაუნდის პირველი ტურის ცენტრალურ შეხვედრაში სამხრეთამერიკელმა ერთბაშად დუბლი შეასრულა და ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირზე თამაშის პერიოდში პირადი მონაგარი 98(!) გოლამდე აიყვანა. შეგახსენებთ, რომ ბომბარდირთა აღნიშნული სიის თავკაცი კრიშტიანუ რონალდუ ახალდაწყებულ ბატალიებს 105 ზუსტი დარტყმით შეხვდა.

საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ მეზობელ აზერბაიჯანელებს ბევრი ულოცავდა „ყარაბაღის“ ღირსეული წარმატების გამო, რომელმაც, პირველმა ამიერკავკასიურ კლუბთაგან, დამოუკიდებლობის ეპოქაში ელიტაში გამოსვლის უფლება დაიმსახურა.

ხომ გსმენიათ – სწავლის ძირი მწარე არისო, ისე დაემართა დებიუტანტებს „სტემფორდ ბრიჯზე“ „არისტოკრატებთან“ გადახდილ უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ, მეტოქის მრისხანეების გათვალისწინებით, ალბათ, ძნელია გააკრიტიკო სტუმრები.

როგორც მოსალოდნელი იყო, დანარჩენმა ბობოლებმაც დასეტყვეს მოწინააღმდეგეთა კარი, ნახევრად სენსაციურად კი მოსკოველ არმიელთა მიერ პორტუგალიაში „ბენფიკას“ დაჩოქება შეგვიძლია მივიჩნიოთ.

„ა“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ – „ბაზელი“ 3:0, „ბენფიკა“ – ცსკა 1:2.

„ბ“ ჯგუფი. „სელტიკი“ – „პარი სენ ჟერმენი“ 0:5, „ბაიერნი“ – „ანდერლეხტი“ 3:0.

„გ“ ჯგუფი. „რომა“ – „ატლეტიკო“ 0:0, „ჩელსი“ – „ყარაბაღი“ 6:0.

„დ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ – „იუვენტუსი“ 3:0, „ოლიმპიაკოსი“ – „სპორტინგი“ 2:3.

გიორგი შოთაძე

◎ ელიტის ზღურბლთან

ახლოა სლოვენიამდე...

„ევრო – 2018“-ის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა.

გუნდის კაპიტნის – მეკარე ზვიად კუპატაძისა და კიდევ რამდენიმე წამყვანი „ჯვაროსნის“ გარეშე მოასპარეზე ავთანდილ ასათიანის კრებულმა რუმინეთში ფრედ – 2:2 დაასრულა პლეიოფის პირველი შეხვედრა და 26 სექტემბერს თბილისში დაგეგმილ საპასუხო მატჩში, ვიმედოვნებთ, წარმატებით შეასრულებს პროგრამა – მინიმუმს.

აღსანიშნავია, რომ სტუმრები შესვენებამდე კურტანიძემ და კაკაბაძემ სოლიდური უპირატესობით დააწინაურეს – 2:0, მაგრამ ბრძოლის განახლებისთანავე კარპატელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა სავიომ ერთი წუთის განმავლობაში დუბლი გაახერხა და პარტნიორები იხსნა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ძმა ძმისთვისაო...

ევრობასკეტის მეოთხეფინალური რაუნდი მთავარი ფავორიტის – ესპანეთისა და ფორუმის აღმოჩენის – გერმანიის ბრძოლით გაიხსნა.

მასპინძელ თურქეთისა არ იყოს, ბუნდესნაკრები პირველი ტაიმის განმავლობაში ღირსეულად უმკლავდებოდა ძმებ გასოლების სამწყსოს (მარკ გასოლმა 28 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, პაუ გასოლმა კი – 19 ქულა), მაგრამ შესვენების შემდეგ კლასმა მაინც თავისი ჰქმნა და დენის შრიოდერის ძალისხმევა (27 ქულა, 8 პასი) ამაო აღმოჩნდა – 84:72.

ტურნირის მშვენებად იქცა სლოვენია – ლატვიის პლეიოფი, რომელიც ბალკანელთა ლიდერების – დონჩიჩისა (27 ქულა, 9 მოხსნა) და დრაგიჩის (26 ქულა, 8 პასი) ბენეფისში გადაიზარდა. მათი შოუს ფონზე გაფერმკრთალდა ბალტიისპირელთა ვარსკვლავის პორზინგისის საუკეთესო 34 ქულა – 103:97.

ასე რომ, დღეს სუპერნახევარფინალია: ესპანეთი – სლოვენია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თაობა

ასე იწრთობა საიმედო ცვლა

როგორც მოგეხსენებათ, ოქტომბერში თბილისი 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს მიიღებს, რომელშიც ჭაბუკ „ჯვაროსნებს“ შემდეგი ეტაპის ორიდან ერთ-ერთი საგზურის მოსაპოვებლად იტალიელ, მონტენეგროელ და ლატვიელ თანატოლებთან მოუწევთ ბრძოლა.

მომავალი პასუხსაგები ბატალიების წინ გიორგი ნემსაძის შეგირდებმა გენერალური რეპეტიცია ყაზახეთში დასრულებულ „პრეზიდენტის თასზე“ გაიარეს, სადაც ჯგუფურ ტურნირზე მოპოვებული ორი შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ მასპინძლებთან 4:4 ითამაშეს (არადა პირველი ტაიმი 3:0 მოიგეს), მაგრამ ფინალური მატჩი რუსეთის ნაკრებთან პენალტებით დათმეს.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ჩვენმა გუნდმა უკრაინაში გამართულ ანალოგიურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის მიზნითა და ლოზუნგით მიღებულია კანონი, რომლის მიხედვითაც წყვილის დაშორების შემთხვევაში მათი ქონება თანაბრად იყოფა და აღარ ენიჭება მნიშვნელობა, ცოლი თუ ქმარი „რა მოხელე ნაჩალნიკია“.

შვილებს კი უჩენს და...

სწორედ ამ ერთი შეხედვით უწყინარი კანონის გამო მრავალ ქვეყანაში მკვეთრად იკლო დაქორწინებების რიცხვმა და ბევრი წყვილი მომავალში ქონების უსამართლოდ გაყოფის შიშით თავს იკავებს ქორწინებისაგან და მთელი ცხოვრება გერლფრენდ-ბოიფრენდად თანაცხოვრებას ამჯობინებს. ეს განსაკუთრებით ცნობილ ადამიანებს ეხებათ.

აი, მაგალითად, ახალგაზრდა ფრანგ ფორვარდს ანტონი მარსიალს მის გულისსწორთან, რეალურად კი ცოლთან – სამანტასთან, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი შვილი ჰყავს, ხელი არა აქვს მოწერილი და სამანტას დიდი სურვილის მიუხედავად, ფეხბურთელი ამ ნაბიჯის გადადგმას ცოცხალი თავით არ აპირებს. ვის უნდა ზედმეტი თავის ტკივილი?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა

პოტსდამური კურიოზები

ცოტა ხნის წინათ, რუსეთის მეფის პეტრე დიდის პირადი ექიმის ზაქარია ვან დერ გულსტის შთამომავლის, საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი ლეიტენანტის ვალენტინ გულსტის მოგონებები გამოქვეყნდა, რომელიც სხვა ამბებთან ერთად პოტსდამში ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების მეთაურთა კონფერენციაზე ყოფნისას იქაურ ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს იხსენებს.

– პოტსდამში ყოფილი ბურგომისტრის დიდებულ სახლში ვცხოვრობდი, განსაკუთრებით შთამბეჭდავი სამუშაო კაბინეტი იყო, რომელსაც მისი ჰიტლერთან ერთად გადაღებული ფოტო, უზარმაზარი საწერი მაგიდა და ულამაზესი აბაჟურით დამშვენებული ლამპარი გამოარჩევდა. პირდაპირ სახლში მცხოვრებმა კრემლის საავადმყოფოს ექიმებმა ერთხელ ეს ლამპა ითხოვეს, მერე კი მითხრეს, – „იცოდეთ, ის ქალის ტყავისგანაა გაკეთებულიო“.

პოტსდამი იმ დროს გერმანული არისტოკრატიის სააგარაკო ადგილი იყო, ამიტომ იქაურ სახლებში აუარება „საკბილო ნივთს“ ნახავდით. მეზობლად გერმანიის ყველაზე ცნობილი კინოვარსკვლავის მარიკა რიოკის სახლი იყო, რომელშიც ერთი უზარმაზარი ოთახი მხოლოდ ფეხსაცმლით იყო გადავსებული. იქიდან მე ბეთჰოვენის, კარუზოს, შალიაპინის, სხვათა გრამფირფიტები, კიდევ ბევრი ფაიფურის ჭურჭელი, ასევე გენერალ-ფელდმარშალ კეიტელის კომპასები და ხმალი წამოვიღე, რისი უფლებაც ობიექტის უფროსმა გენერალმა მედვედევმა მომცა. იგი მერე დახვრიტეს – პოტსდამიდან მან ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავი „ნადავლი“ ჩამოიტანა, კეიტელის ხმლით კი ახლა ჩემი შვილი მეგობრებთან თავს იწონებს...

პოტსდამში ჩვენები ყოვლად უმსგავსოდ იქცეოდნენ: მაგალითად, ზოგს შესანიშნავი ბროლის ფუჟერები ჰქონდა სამიზნეებად – ტყვია რომ ხვდებოდა, ისინი არაჩვეულებრივად მელოდიურად სკდებოდნენ. ჩემამდე ბურგომისტრების სახლში ვიღაც მაღალჩინოსანი ცხოვრობდა, რომელიც ღვინის ბოთლებს თავებს ამტვრევდა და სამზარეულოს ნიჟარაში ყრიდა, რომელიც ცხადია, გაიჭედა. შესაკეთებლად მოსულმა გერმანელმა ზეინკალმა მისაყვედურა: „ნუთუ ბატონ ოფიცერს ამ ღორობისა არ რცხვენია?“ თავი სად წამეღო, აღარ ვიცოდი!

ერთმა გენერალმა კი უკაცრავად და, ერთმანეთში უნიტაზი და ბიდე აურია, ამიტომაც რომ მოისაქმა და წყალი ჩართო, ჭავლი სახეში შეესხა... სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პოლკოვნიკი კი, რომ იტყვიან, სულმოკლე კაცი იყო და ჭიქაში დასხმულს უმალ გადაჰკრავდა ხოლმე, მერე კი დამატებას ითხოვდა. ჰოდა, ერთხელაც, ვიღაცამ უჩვეულო ფორმის ბოთლი აჩუქა, პოლკოვნიკმა დაასხა, გადაჰკრა და... პირიც აუქაფდა. ის სასწრაფოდ ექიმთან გააქანეს. ორი-სამი საათის შემდეგ ლაზარეთში დამიძახეს, ვხედავ – პოლკოვნიკი შარვალჩახდილი მუცელზე წევს, ასლოკინებს და უკანალიდან შამპუნის ბუშტებს უშვებს...

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

გამოსათხოვარი

ქ. თბილისში მცხოვრები „ფოთელების საზოგადოების“ გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი, უკეთილშობილესი პიროვნება, დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, ჩვენი უახლოესი მეგობარი

ვალერი წულაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რუსეთის მოქალაქის ძარცვის ფაქტზე სამი პირი დააკავეს

შსს-მ თბილისში ალექსიძის ქუჩაზე მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნა. სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა რუსეთის მოქალაქის ძარცვის ფაქტზე 3 პირი დააკავეს.

„შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძარცვის ბრალდებით სამი პირი: 1980 წელს დაბადებული ჯ.ჩ, 1989 წელს დაბადებული დ.ქ. და 1986 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 7 სექტემბერს თბილისში, ალექსიძის ქუჩა №1-ში რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ა.ხ. გაძარცვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციამ სამივე ბრალდებული თბილისში დაიკავა. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად დანაშაულებრივი გზით დაუფლებული თანხის ნაწილი 3550 აშშ დოლარი, 700 ევრო და 550 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

◎ ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

ძლიე საკუთარ თავს!

შიში მუდამ ადამიანის სულის ყველაზე ბნელ კუნჭულში ბუდობს, მაგრამ, აბა, ვნახოთ, იქნებ ის არც ისეთი სახიფათოა, როგორადაც გვეჩვენება?!

თუკი საკუთარ შიშებს ავყვებით, თავისუფლად შეიძლება ნებისყოფის სრულად დაკარგვა, გაშეშების მდგომარეობაში ჩავარდნა. მაგრამ თუკი შიშის მართვას ისწავლით, ის შეიძლება უძლიერეს მამოძრავებელ ძალად გადაიქცეთ.

ბევრს ძალიან გაუკვირდება, მაგრამ, თურმე შიშის არჩევა იმავე პრინციპით ხდება, როგორც ჰობს ან მეგობრებს ვირჩევთ.

აიღეთ ფურცელი და იმის ნუსხა ჩამოწერეთ, რაც გაშინებთ. შემდეგ ეს სია კრიტიკულად შეაფასეთ, რომელი შიშების ამოშლაა შესაძლებელი და სამამდე დაიყვანეთ. ახლა ისიც ნახეთ, რომელი მათგანი იწვევს თქვენში ყველაზე ემოციურ განცდებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სიის ბოლოში ჩაწერილ შიშს, რადგან სწორედ ის გაშინებთ ყველაზე მეტად. ჩვენი გონება ისეა მოწყობილი, რომ ანგარიშგაუწევლად ვდევნით გონებიდან ისეთ რაღაცეებს, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებს.

მაშ ასე, თქვენს წინაშეა თქვენი ყველაზე დიდი შიში და ამავდროულად, ყველაზე მთავარი დამხმარე. **ეს სწორედ ის რესურსია, რომელსაც აქამდე არადანიშნულებისამებრ იყენებდით.**

რა ხდება ორგანიზმში, როცა შიშს განვიცდით? სისხლში მკვეთრად გაიფრქვევა ჰორმონები – **ადრენალინი და ნორადრენალინი,** რომლებიც ერთობლივად იწვევენ ძალთა მომატებასა და სუნთქვის გახშირებას, რაც თავის ტვინის სისხლით მომარაგებას აუმჯობესებს. შემდეგ ტვინში ჰორმონი **სეროტონინი** გამომუშავდება, მას კუნთები ტონუსში მოჰყავს და მოძრაობით აქტივობას ზრდის. იცვლება სისხლის შემადგენლობა. **ძლიერი შიშის განცდისას ჩვენ სუპერგმირებად ვიქცევით ხოლმე, რომლებსაც ყველაფრის გაკეთების უნარი შესწევთ!**

თუკი ამ დროს საკუთარ თავს დაეკვირდებით, პირველ მომენტში აუცილებლად შეიგრძნობთ სრულ **შინაგან მობილიზებას – შიშის გრძნობის იმ დადებით მდგენელს, რომელიც მოძრაობას გაიძულებთ.** მხოლოდ ამის შემდეგ მოდის გამყინავი შიშის ტალღა, რომელიც სხეულს ბოჭავს და ადგილიდან დაძვრის საშუალებას არ იძლევა.

შიში იმ დროს უნდა წარმოიშვას, როცა რეალური საფრთხე გემუქრებათ, თუმცა **თანამედროვე ცხოვრებაში ეს გრძნობა მნიშვნელოვნად დეზორიენტირებულია, ამიტომაც გენეტიკურ შიშებს ჩვენს მიერვე გამოგონილი შიშები ემატება.** როგორ უნდა ვებრძოლოთ მათ?

- **ისწავლეთ ზერელე მოსმენა:** გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ყველა იმ საშინელებას, რაც დღის განმავლობაში გესმით. ერთია, მომხდარის მიმართ თანაგრძნობა და სულ სხვაა, ამით საკუთარი თავის ემოციურად დაშინება.
- **აეწყეთ პოზიტიურ ტალღაზე:** ეცადეთ, სასიამოვნო ნივთების გარემოში იყოთ, ურთიერთობა გქონდეთ დადებით ხალხთან, შეიქმენით სიხარულის ტერიტორია. **გახსოვდეთ:** როცა დროის უმეტეს ნაწილს უარყოფითი ინფორმაციის ატმოსფეროში ატარებთ, წონასწორობიდან ნებისმიერი წვრილმანი გამოგიყვანთ.
- **მიენდეთ საკუთარ ინსტინქტებს:** თითოეულ ჩვენგანს ერთგვარი უტყუარი ბარომეტრი აქვს „ჩაშენებული“, რომელიც რეალურ შიშებს მოგონილებისგან არჩევს, ამიტომ ისწავლეთ საკუთარი თავის ყურის მიგდება.

განა არასდროს დაფიქრებულხართ იმაზე, თუ სად ბუდობს შიში: სულში, თუ თავში? თითოეულ ჩვენგანში შიში რაღაც მყუდრო ადგილს ნახულობს, მაგრამ როგორც კი ტვინიდან შიშის შესახებ ნიშანს ვიღებთ, ის ერთიანად გვეუფლება. **მაშინ კი მთავარია ამ მომენტის დაჭერა და ყველანაირად იმის ცდა, რომ ასე არ მოხდეს. ეს დრო საუკეთესოა საიმისოდ, როდესაც ჩვენ საკუთარი ემოციის გადაპროგრამება, უარყოფიდან დადებითში გადაყვანა შეგვიძლია.**

ამის გაკეთება მშვიდ გარემოში სცადეთ, გაიხსენეთ საშიში ვითარება და ეცადეთ ამ ემოციაში სრულად ჩაძირვა. შემდეგ მაჯაზე სამედიცინო რეზინი შეიბით და როგორც კი იგრძნობთ, რომ გეშინიათ, ეს რეზინი ხელზე დაიწკაპუნეთ: თქვენი ამოცანაა თანდათან მომატებული საგანგაშო შეგრძნების გადართვა. შიში ფიზიკურ დონეზე დარჩება, მოხდება ემოციური დამუხრუჭება და პანიკაც აღარ დაგეუფლებათ.

ნებისმიერი ემოციები ფიზიკურ დონეზე ვლინდება და ხშირად ავადმყოფობების მიზეზი ხდება. **გამონაკლისს არც შიში წარმოადგენს,** მაგალითად, პასუხისმგებლობის **შიში ათეროსკლეროზს, ჰიპერტონიასა და კუჭის წყლულს, მოქმედების შიში მამაკაცებში იმპოტენციას, ხოლო ქალებში – ფრიგიდულობას იწვევს.**

ჩინელი მედიკოსები ამტკიცებენ, რომ **შიშის ემოცია თავდაპირველად თირკმელების ენერგიას აზიანებს, შემდეგ კი ქვევით, სასქესო-საშარდე სისტემისკენ მიემართება.** ამიტომაც, შიშის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად ჩინელი ექიმები გვირჩევენ:

- **დღეში რამდენჯერმე დავიზილოთ ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ჩაღრმავება.** ეს ორგანიზმის შიდა ძალებს გააძლიერებს და ენერგიას იმ ორგანოებზე მიმართავს (ამ შემთხვევაში თირკმელებზე), სადაც დადებითი ენერგიის ნაკლებობაა.
- უფრო ხშირად, განსაკუთრებით კი წლის ცივ პერიოდში, **ვსვათ თბილი სასმელები.** თირკმელები – ცივი ორგანოა, ამიტომაც ცხელი მხარდაჭერა სჭირდებათ.

ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ შიში – ესაა ჩვენი მასწავლებელი. იგი უხვად უნაწილებს ენერგიასა და ძალას იმას, ვინც გაბედა და პირდაპირ შეხედა. შიშის დაძლევით ჩვენი ორგანიზმი ენერგიის მძლავრ მუხტს იღებს, რაც საკუთარი ძალების რწმენას გვმატებს.

მოამზადა
ლალი ხუნდაძემ

„მამიკოს გოგო“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში ახალი ფილმის გადაღებები იწყება.

„მამიკოს გოგო“ („Daddy's Girl“) – ასე ჰქვია მხატვრული ჟანრის ფილმს, რომელზეც ქართული საპროდიუსერო კომპანია – „სარკე სტუდია“ მუშაობს.

ფილმს ბრიტანელი რეჟისორი ჯულიან რიჩარდსი იღებს, რომელსაც ისეთ ცნობილ ფილმებზე აქვს ნამუშევარი, როგორებიცაა: „Pirates“, „Queen Sacrifice“, „Darklands“.

ფილმის გადაღებები სექტემბრის შუა რიცხვებში დაიწყება, 1 თვეს გაგრძელდება და 200-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. ქართველ და უცხოელ მსახიობებთან ერთად ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი Costas Mandylor შეასრულებს.

ფილმის სიუჟეტი 20 წლის გზააბნეული გოგოს და 40 წლის მექანიკოსი მამაკაცის გარშემო ვითარდება, ერთი შეხედვით სასიამოვნო რომანი საზარელ ისტორიად გადაიქცევა. ფილმის თემატიკიდან გამომდინარე, გადაღებებისთვის საკმაოდ საინტერესო ლოკაციები შეირჩა: კოჯრის მიმდებარე ტერიტორია, თბილისის ძველი უბნები და ქალაქის გზატკეცილები.

პროექტის ამოქმედებიდან მცირე დროში უკვე 6 ფილმია გადაღებული. „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში მალე კიდევ 3 ფილმის გადაღება იგეგმება.

„50 ქალი საქართველოდან“

12 სექტემბერს, საქართველოს საელჩოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ორგანიზებით, კოპენჰაგენში განლაგებულ გაერო-ს ქალაქში (UN City) გაიხსნა საგარეო საქმეთა სამინისტროს და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის ერთობლივი პროექტი – ფოტო-გამოფენა „50 ქალი საქართველოდან“.

გამოფენის გახსნაზე მოწვეული იყვნენ დანიის ხელისუფლების, საკანონმდებლო ორგანოს, არასამთავრობო სექტორის და მედიასაშუალებების წარმომადგენლები, კოპენჰაგენში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები, აგრეთვე დანიაში მცხოვრები ქართველები.

ექსპოზიცია „50 ქალი საქართველოდან“ ეძღვნება XIX და XX საუკუნეების ქართველ და ევროპელ საზოგადო მოღვაწე ქალებს, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ფოტოსურათებთან ერთად გამოფენა საარქივო-ბიოგრაფიულ მასალასაც აერთიანებს და უნიკალურ ინფორმაციას მოგვითხრობს 50 გამოჩენილი ქართველი ქალბატონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ექსპოზიციის გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს საელჩო ქართული ღვინითა და ქართული კერძებით გაუმასპინძლდა.

ფოტოგამოფენის „50 ქალი საქართველოდან“ დათვალიერება გაერო-ს ქალაქის ცენტრალურ დარბაზში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 11 რეგიონული ოფისის 1500-ზე მეტ თანამშრომელს და UN City-ს სტუმრებს 20 სექტემბრამდე შეეძლებათ.

ბათუმი „AGRO BATUMI 2017“-ს უმასპინძლებს

29 სექტემბერიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით ბათუმში, ყინულის სასახლეში, კომპანია „GEONET EXPO-ს“ ორგანიზებით მე-7 საერთაშორისო აგროსასურსათო პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა-გაყიდვა „Agro Batumi 2017“ გაიმართება.

„GEONET EXPO“ საქართველოში ერთ-ერთი პირველი საგამოფენო კომპანიაა და ბათუმში გამოფენების ორგანიზებით, ხელს უწყობს რეგიონში ამ სფეროს განვითარებას. გამოფენის თანაორგანიზატორები არიან: აჭარის მთავრობა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, აჭარის ტელევიზია და TV 25 – მედია მხარდამჭერი, გაზეთები: Caucasus Business Week და გაზეთი „აჭარა“.

იცით თუ არა, რომ...

- **მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ბურგერი 2017 წლის მარტში დუბაიში გაიყიდა, რომელშიც მომხმარებელმა 10 ათასი დოლარი გადაიხადა;**
- იტალიაში პალეონტოლოგებმა 120 მილიონი წლის წინათ მცხოვრები დინოზავრების ნეშტების მიხედვით, მათი იერსახე აღადგინეს;
- ნაპოლეონის გენერალი გაუკე ეროვნებით ბოშა იყო, ხოლო მის შთამომავლებს შორის არიან ესპანეთის მეფე ფელიპე დე ბერბინი და ინგლისის ტახტის მემკვიდრე, უელსის უფლისწული ჩარლზი;
- ბოშური შთამომავლობა აქვთ საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონს, ჰოლივუდელ ვარსკვლავ იულ ბრინერსა და შვედ ფეხბურთელ ზლატან იბრაჰიმოვიჩს;
- დედამიწის ჩრდილოეთ პოლუსს პირველმა მიაღწია არა რობერტ პირომ, როგორც ეს ამ თემისადმი მიძღვნილ თითქმის მთელ ლიტერატურაშია აღნიშნული, არამედ არქტიკის სხვა ამერიკელმა მკვლევარმა ფრედერიკ კუკმა;
- მსოფლიოში განთქმულ რომის ტრევის შადრევნის აუზში, მარადიულ ქალაქში ჩასული ტურისტები, ბედნიერების მოსაზიდად, ყოველ კვირას 10 ათას დოლარზე მეტი ღირებულების მონეტებს აგდებენ, რა თანხასაც შემდგომ მუნიციპალური ხელისუფლება საქველმოქმედო მიზნებისთვის გასცემს;
- ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ აზიის ქვეყნებში მოგზაურობაში წასულმა საუდის არაბეთის ხელმწიფემ, 81 წლის სალმანმა თან... 460 ტონა ბარგი წაიღო და იმის გამო, რომ თვითმფრინავის ტრაპზე მონარქს ასვლა-ჩასვლა უჭირს, მსახურებმა ესკალატორებიც გაიყოლეს. იგი საკუთარი „ბოინგით“ გაფრინდა, მაგრამ სამოგზაუროდ ჩვეულებრივი ავიახაზებით რომ წაბრძანებულიყო, მას 20-კილოგრამიანი 23 ათასი ჩემოდანი დასჭირდებოდა, ჭარბი წონის გადაზიდვაზე დამატებითი გადასახადი კი 860 ათას დოლარს გადააჭარბებდა.

ძილის „აიწონა-დაიწონა“

ისტორიული ცნობებით, ბევრ გამოჩენილ პიროვნებას, მაგალითად, იულიუს კეისარს, ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, ჩერჩილს, სტალინს, ასევე არაერთ თანამედროვე ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს დღე-ღამეში ძილისთვის მხოლოდ 3-4 საათი ჰქონდა გამოყოფილი.

არადა, შარშან გამოქვეყნდა ამერიკელ მეცნიერთა დიდი გამოკვლევა, რომლის შედეგად სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ადამიანისთვის ძილის ოპტიმალური ხანგრძლივობა 7-9 საათია და თუმცა არსებობს ინდივიდუალური განსხვავებებიც, მაგრამ საშუალო სტატისტიკური კაცისთვის საიმისოდ, რომ თავი ფიზიკურად მხნედ იგრძნოს, საჭიროა სულ მცირე 7 საათი ძილი.

ფაქტია, რომ დღესდღეობით ბევრ უაღრესად დაკავებულ პირს ძილისთვის ძალიან ცოტა დრო აქვს გამოყოფილი. მაგალითად, ამერიკის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ირწმუნება, რომ დღე-ღამეში 3 საათზე მეტი არ სძინავს და ამ გარემოებას თავისი წარმატების ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს.

მაგრამ, ბევრი ეჭვობს, რომ ძილის ეკონომია ცხოვრებაში წარმატების მიღწევის საიდუმლო იყოს. მაგალითად, არსებული სტატისტიკით, ფრანგებს დღე-ღამეში 9 საათი სძინავთ და კიდევ 2 საათს კვებაზე ხარჯავენ, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები ეჭვს არ იწვევს.

ამასთან, მედიკოსები აცხადებენ, რომ დიდი ხნის ძილი ჯანმრელობისთვის სარგებლობის მომტანი არ არის – თუკი ის 9 საათს აჭარბებს, ამას გონებრივ შესაძლებლობათა დაქვეითება, თავის ტკივილი და ენდოკრინულ დაავადებათა წარმოშობის საფრთხე ახლავს.

არადა, ისიცაა, რომ უძილობას, თავის მხრივ, არტერიული ჰიპერტონიისა და გულის დაავადებათა განვითარების, იმპოტენციის, წონის მომატების, ადრეული დაბერების საფრთხე ახლავს.

მათ კი, ვისაც დღე-ღამეში 7-8 საათზე ნაკლები სძინავს, ორგანიზმში გლუკოზის მიმოქცევა ერღვევათ, რაც შაქრიანი დიაბეტის წარმოშობის საფრთხეს ზრდის, ხოლო ვისაც 5 საათზე და უფრო ნაკლები სძინავს, სიკვდილის რისკი 15 პროცენტით მეტად ემუქრებათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4589; ევრო - 2.9359;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2649;
100 რუბლი - 4.2759; თურქული ლირა - 0.7164;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4503;
1000 სომხური დრამი - 5.1490.

ამინდი 14 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16 დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +33
თბილისი: ღამე +20, დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge